საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 8-10 ივლისი. 2022 წ. №87-88 (9425-9426) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საქართველოს პოლიტიკური რეტროსპექტივა

3-8



მურმან კვარაცხელია: მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად!

ევთოს საპარლამენტო ასამბლეა:

რუსებო, შეწყვიტეთ საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაცია!

ევთოს საპარლამენტო ასამბლეამ ყოველწლიური სესიის ბოლოს დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომელშიც რუსეთის ფედერაციას მოუწოდებს, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპაცია და მიიღოს კონსტრუქციული მონაწილეობა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესია ბირმინგემში 2-6 ივლისს გაიმართა. დოკუმენტში ასევე გამოთქმულია „ღრმა მწუხარება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლიდან არსებული მოუგვარებელი კონფლიქტის გამო და ხაზს უსვამს რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დებულებების სრულად შესრულების აუცილებლობას, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც გამოიცა 2021 წლის იანვარში“.

რეზოლუცია სთავაზობს შედეგზე ორიენტირებული შუამავლობის გააქტიურებას და არსებულ მექანიზმებზე დაფუძნებულ მოლაპარაკებებს კონფლიქტების მოგვარების მიზნით. დოკუმენტი ასევე მოუწოდებს კონფლიქტის მხარეებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედებები და „ჩაერთონ დიალოგში, რათა მიაღწიონ ყოვლისმომცველ გრძელვადიან მშვიდობას უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული პატივისცემით, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობით“.

ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მექანიზმი ამოქმედდა

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ევროკავშირის მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესრულებაში მონაწილეობის საკითხი განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის შესწავლა დაიწყოს.

კერძოდ, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კვლევის შედეგად მიღებულ დოკუმენტზე იმუშავებს.

„ამ დოკუმენტის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფში, ჩვენ უკვე საგნობრივად შეგვეძლება ყველა ჩართულ მხარესთან ერთად კონკრეტულ შედეგს მივაღწიოთ. კონკრეტული შედეგი გულისხმობს შემდეგს, როცა გვეცოდინება და შეჯერებული გვექნება ის გამოწვევები, რაც შეიძლება საპარლამენტო კონტროლის სახით არსებობდეს ან დამატებითი გამოცდილება, რომლის გაზიარებაც შეიძლება საუკეთესო ევროპული პრაქტიკიდან კიდევ საჭიროდ ჩავთვალოთ ამის კანონპროექტად ქცევა და დარეგისტრირება მოვახერხოთ“, – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა. მისივე თქმით, **21 სექტემბრისთვის კანონპროექტი უკვე დარეგისტრირებული უნდა იყოს და 1 ნოემბრისთვის კი, საპარლამენტო კონტროლის კუთხით პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ან სხვა სახის საკანონმდებლო აქტები უნდა მიიღოს.**

აღმოსავლური პასუხი პუტინს, არძინბეს, ფანიებს, კადიროვებსა და მათ უკან მდგომთ!..



5

იან ბუჟეზინსკი:

ნატომ თბილისს და კიევს მკაფიო სიგნალები უნდა გაუგზავნოს

4

ფუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR TUBERCULOSIS AND LUNG DISEASES

ბრძოლა „ჩუმ მკვლელთან“

6

ტრანსლაციური კვლევები და მათი მნიშვნელობა

აქტიურობა ერის წინსვლის საწინდარია

7

ირაკლი კობახიძე: მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით და 2%-იანი ბარიერით ჩატარდება

„მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება: დეკემბერში ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, საქართველოს პარლამენტი სამივე მოსმენით მიიღებს კონსტიტუციურ კანონს, რომლის თანახმად 2024 წლის და მისი მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით და 2%-იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარდება“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

„ღრმად გვწამს, რომ საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღება ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხის შემცირებას, რის შემდეგაც სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2%-იანი საარჩევნო ბარიერით 2024 წელს ქვეყნისთვის ოპტიმალურ პოლიტიკურ მოცემულობას შექმნის. დარწმუნებული ვართ, „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი სატელიტებით 2024 წელს 2%-იანი ბარიერის პირობებშიც პირწმინდად დავამარცხებთ, რაც ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული და სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობაა“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რამდენიმე დღის წინ, მმართველი გუნდის მიერ საზოგადოებისთვის წარდგენილი დეტალური გეგმა, რომელიც ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულებას ეხება, არ მოიცავს არც ერთ საკითხს, რომელიც ევროკომისიის 12-პუნქტიან დოკუმენტში არ იყო ნახსენები.

„მათ შორის, ბუნებრივია, ჩვენი გეგმა არ მოიცავს არც საარჩევნო ბარიერის შემცირების საკითხს 2024 წლის და მისი მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, 2024 წლიდან საქართველოში ამოქმედდება სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 5%-იანი ბარიერით, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სისტემაა. ეს სისტემა სრულად შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას და სამართლებრივ სტანდარტებს. მეტიც, ორპროცენტიანი ან უფრო დაბალი ბარიერი, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკების გამო, ევროკავშირის მხოლოდ ორ ქვეყანაში მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ბარიერის დაწევა კანდიდატის სტატუსის მიღების წინაპირობად ევროკავშირის მხრიდან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა წამოყენებული. ასეთ პირობებში, ბარიერის დაწევა რჩება წმინდა პოლიტიკურ საკითხად და ის ჩვენი მხრიდან სწორედ ამ ჭრილში იქნება მომავალშიც განხილული“.

ირაკლი ქადაგიშვილი: უკრაინელები გაღიზიანებას ვერ ფარავენ!

მაიკ მაკფოლის აზრების წამკითხველი არ ვარ. კარგად ვიცით, უკრაინას ეს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით უკვე ოთხი თვეა აქვს და ამ პოლიტიკას აგრძელებენ, ოთხი თვეა, გვესმის, რომ გაღიზიანებული არიან საქართველოზე, — ამის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა.

„ბორის ჯონსონის დღევანდელი განცხადება საკმაოდ სკანდალური იყო. თურმე, იგი რუს ოლიგარქს ლებედევს ხვდებოდა და იმის შვილი მისი პროტექციით, ლორდთა პალატის წევრი გახდა, თუმცა ინგლისის უშიშროების სამსახური აფრთხილებდა, რომ ეს დიდი ბრიტანეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის რისკის შემცველი იქნებოდა. რამდენი ევროპელი და ამერიკელი უმაღლესი რანგის პოლიტიკოსი იყო რუს ბიზნესმენებთან, ოლიგარქებთან კავშირში? თუ ჩვენ ამ გზით წავალთ, ვის როგორი პოლიტიკური სიმპატიებით უნდა სანქციების დაწესება, ძალიან დიდი სია გვექნება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაკფოლმა დააკონკრეტა, ვინ იგულისხმა? — მაიკ მაკფოლის აზრების წამკითხველი არ ვარ. კარგად ვიცით, უკრაინას ეს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით უკვე ოთხი თვეა აქვს და ამ პოლიტიკას აგრძელებენ. ოთხი თვეა გვესმის, რომ გაღიზიანებული არიან საქართველოზე, რადგან არ იხოცებიან ქართველი ქალები და ბავშვები, როგორც უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა მოგვახსენა და რომ არ არის ქართული ტანკები დღეს ცხინვალში და რუსეთთან არ ვართ ომში. ამ გაღიზიანებას ეგენი არ მალავენ, ნებისმიერ სიას შეადგენენ, ოღონდ კი, საქართველო დააზიანონ და ახლა რა ვქნათ, ქართველები ვიყოთ ქართველების მხარეს თუ არესტოვიჩის მხარეს? ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ერთი ფაქტი თქვან და მორჩნენ ქვეყნის დაბულინგებას“, — განაცხადა ქადაგიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა CREDIT SUISSE-სგან მიიღო წერილი ევროპარლამენტის რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც სანქცირებას ეხებოდა

როცა ბანკი შვეიცარიის სახელსაც კი ლახავს!

იურიდიული ფირმა „ემ ქეი დი“, რომელიც წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს წამყვან შვეიცარიულ ბანკთან დავაში, განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „რიგი გარემოებები ივანიშვილს აძლევს საფუძველს, დაასკვნას, რომ ბანკის მოქმედებები დაკავშირებულია ქართულ შიდა პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებთან“.

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ იურიდიული ფირმა „ემ ჯეი დი“ წარმოადგენს ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს წამყვან შვეიცარიულ ბანკთან, Credit Suisse-თან გლობალურ დავაში. ამავე დროს, გარდა უშუალოდ სასამართლო დავებისა, რომლებიც მიმდინარეობს ბერმუდის კუნძულებზე, სინგაპურსა და შვეიცარიაში, ბ-ნ ივანიშვილს მინდობილი აქვს მნიშვნელოვანი აქტივები Credit Suisse-ის სატრასტო კომპანიებისთვის. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ხსენებული აქტივები არ არის სადავო და არ წარმოადგენს განხილვის საგანს არც ერთ იურისდიქციაში. სწორედ ბანკსა და მის სატრასტო კომპანიებთან ურთიერთობის ფარგლებში, ბანკის მიერ ჩადენილ განმაცვიფრებელ დარღვევებს ეხება წინამდებარე განცხადებაც.

2022 წლის მაისში საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შვეიცარიული ბანკის მხრიდან ადგილი ჰქონდა კლიენტის უფლებათა უხეშ შელახვასა და პოლიტიკურ ზეწოლას. გვსურს, საზოგადოებას შევახსენოთ მოვლენათა ის ქრონოლოგია, რომელიც ზემოაღნიშნულ დასკვნას დაეედო საფუძვლად:

ბანკის სატრასტო სტრუქტურის მხრიდან ბენეფიციარის ინტერესების უგულებელყოფა ჯერ კიდევ 2022 წლის მარტიდან დაიწყო, როდესაც ბენეფიციარის მხრიდან გადარიცხვის ინსტრუქციის შესრულებას ერთ თვე დასჭირდა. სწორედ ამგვარი გაჭიანურების პერიოდში მიუთითა პირველად ბანკმა, რომ მისი უმოქმედობა და კლიენტის დავალების შეუსრულებლობა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდებოდა. აშკარა იყო, რომ საუბარია უკრაინაში მიმდინარე ომზე, თუმცა სრულიად გაუგებარი იყო ბენეფიციარის რაიმე ფორმით შემხებლობა ხსენებულ ე.წ. „გეოპოლიტიკურ მოვლენებთან“. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს განემარტა, რომ ბენეფიციარი არ წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეს, არ გააჩნდა რუსეთში ბიზნეს ინტერესები, არ იყო სანქცირებული პირი და არც სხვა რაიმე ნიშნით შეიძლება მის მიერ საკუთარი თანხის განკარგვა შეფერხებულიყო უკრაინაში ომის გამო, დავალების შესრულებას მაინც 1 თვე დასჭირდა. თუმცა, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ამით პრობლემა კი არ ამოიწურა, არამედ კლიენტზე ზეწოლის ტალღა მხოლოდ ახლა იწყებოდა:

უკვე 2022 წლის 11 აპრილის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ ტრასტს მოეხდინა გარკვეული თანხების გადარიცხვა, ტრასტმა ოთხჯერ: 13 აპრილს, 20 აპრილს, 5 მაისსა და 20 მაისს იდენტური კითხვები დაუსვა ბენეფიციარს მიუხედავად იმისა, რომ მან სრული, ამომწურავი ინფორმაცია პირველივე კითხვაზე საპასუხოდ მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი მიმართავდა ტრასტს, თუ რა იყო კლიენტისგან დამატებით საჭირო, რა ინფორმაცია, რა დოკუმენტი, რა ტიპის ხელმოწერა აკლდა დავალების მიმღებს და ადასტურებდა, რომ იგი მზად იყო, მაქსიმალურად შეეწყო ხელი ტრასტისთვის თავისი ვალდებულების შესრულებაში, ტრასტი ჯიუტად სვამდა კითხვებს უკვე პასუხგაცემულ საკითხებზე. საბოლოოდ, 5 მაისს ტრასტის წარმომადგენელი დაპირდა კლიენტს, რომ იგი მოამზადებდა საჭირო დოკუმენტების პროექტებს და გადმოუგზავნიდა ბენეფიციარს ხელმოწერისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, თავისივე ნათქვამი თვითონ დაავიწყდათ და 2 კვირის განმავლობაში დოკუმენტების მოუწოდებლობის შემდეგ, 19 მაისს ისევ ძველი კითხვები გაახსენდათ და დოკუმენტების ნაცვლად ისევ კითხვები გამოგზავნეს. ტრასტის მიერ ბენეფიციარის მიმართ არსებული ვალდებულება დღესაც, 3 თვის შემდეგ, კვლავ უგულებელყოფილია, თუმცა კლიენტის უფლებათა დარღვევისთვის ახალი, აშკარა პოლიტიკური შეფერილობის საბაბი მოინახა. სწორედ ამ უცნაური, განმაცვიფრებელი გზავნილის შესახებ სურს კლიენტს ქართველი საზოგადოების ინფორმირება, რადგან, რიგი გარემოებები აძლევს ბატონ ივანიშვილს საფუძველს, დაასკვნას, რომ ბანკის მოქმედებები დაკავშირებულია ქართულ შიდა პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებთან.

კერძოდ, 2022 წლის 5 ივლისს კლიენტმა მიიღო წერილი ბანკისგან, სადაც საუბარია ევროპული პარლამენტის იმ რეზოლუციაზე, რომლითაც მან მოუწოდა ევროპულ საბჭოს, განეხილა ბატონი ივანიშვილისთვის სანქციების დაწესება. ბანკი განმარტავს, თითქოსდა, ხსენებულმა რეზოლუციამ წარმოშვა ბანკის მხრიდან რეგულატორული ვალდებულებები და რომ ტრასტი თავის მოქმედებებს აღარ განახორციელებს სასამართლოს თანხმობის გარეშე. საუბარია სასამართლოს იმ თანხმობაზე, რომლის მისაღებად პროცესის ინიცირება უკეთეს შემთხვევაში ამა წლის სექტემბერში თუ მოხდება, ხოლო მისი შედეგის დადგომა, ბანკის მეცადინეობით, ტრადიციულად, უსასრულოდ გაჭიანურდება.

ბანკის ეს გზავნილი არის როგორც სამართლებრივ, ასევე, ფინანსური ინსტიტუტების პრაქტიკაში უპრეცედენტო, რომლის მსგავსი მოვლენა არათუ შვეიცარიის დონის, არამედ განვითარებადი სახელმწიფოებისთვისაც კი უცხო და შეუფერებელია. აშკარაა, რომ ბანკის მენეჯმენტი თვითდაზიანების რეჟიმში იმყოფება და არად დაგიდევთ არათუ უშუალოდ ბანკის იმიჯს, არამედ ლახავს შვეიცარიული სახელმწიფოს ავტორიტეტსაც.

ბანკი თავის გზავნილში ეყრდნობა მარტოოდენ ევროპარლამენტის რეზოლუციას, რომელიც, როგორც საზოგადოებისთვისაც კარგად არის ცნობილი, სარეკომენდაციო ხასიათისაა და არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. ბანკის მითითება აბსტრაქტულ „რეგულატორულ ვალდებულებებზე“ უადგილოა მით უმეტეს, რომ ბანკმაც და საზოგადოებამაც კარგად უწყის, რომ ევროკავშირის არც ერთმა აღმასრულებელმა ორგანომ: არც ევროკომისიამ და არც ევროპულმა საბჭომ არ გაიზიარა სანქცირების შესახებ რეკომენდაცია. ის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ევროპარლამენტის რეზოლუციის გაგრძელებას და რომლითაც საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარება მოხდა, არის სწორედ აღნიშნულის დასტური, რადგან ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოებს პარლამენტის რეზოლუცია რომ გაეზიარებინათ სანქცირების ნაწილში, მაშინ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაში მოხდებოდა მისი ასახვა, რაც, როგორც ცნობილია, არ მომხდარა. ამით, პრაქტიკულად, საკითხი ამოწურულია. მიუხედავად ამისა, ბანკი უბრუნდება ერთი თვის წინანდელ რეზოლუციას და მასზე, როგორც მოქმედ დოკუმენტზე ისე საუბრობს. საინტერესოა, თუ რამდენ ხანს აპირებს ბანკი გააკეთოს მითითება იმ დოკუმენტზე, რომელიც არ იქნა გაზიარებული ევროკავშირის რომელიმე აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სულ რომც სანქცირებული იყოს ბატონი ივანიშვილი, ეს ტრასტის ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ არ აქრობს. პირიქით, ტრასტის მიზანი კლიენტის ინტერესების მომსახურებაა იმ პირობებშიც კი, როდესაც ბენეფიციარი რაიმე სამართლებრივ შეზღუდვას ექვემდებარება. სატრასტო სტრუქტურები ხომ სწორედ კლიენტთა აქტივებისა და ინტერესების დაცვის მიზნებისთვისაა შექმნილი, მათ შორის, ბენეფიციართათვის რთულ დროს. კლიენტისთვის აშკარაა, რომ ბანკის მოქმედებები კლიენტზე პოლიტიკური ზეწოლის მოხდენის მიზანს ემსახურება, რომლის დეტალებზეც, საჭიროებისამებრ, თავად ისაუბრებს ბატონი ივანიშვილი“, — ნათქვამია განცხადებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ევრაზიის კონტინენტების დამაკავშირებელი რგოლია. სწორედ ამითაა განპირობებული მის მიმართ გეოპოლიტიკურ ინტერესთა ერთობლიობა, რომელიც შემაფერხებელი ფაქტორია გლობალურ სივრცეში მისი ჩართვისთვის. საქართველო პატარა სახელმწიფოა, რომელსაც ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები სერიოზულად არ აღიქვამენ!

ჩვენ, ქართველობას, ხშირად გვიყვარს აპელირება იმაზე, რომ დიდი ისტორიის მქონე ერი ვართ. საკმარისია, თუნდაც გადავხედოთ რენესანსის ეპოქას, როდესაც მაშინდელი ევროპა პატარ-პატარა სამთავროებად და მიწებად იყო დაყოფილი და ერთმანეთთან ბრძოლით იკმაყოფილებდა საკუთარ ამბიციებს, მაშინ საქართველო აბჯარასხმული ერთი მეფის იდეოლოგიის ქვეშ ერთიანდებოდა და მისი შვილები მიწისა და ქრისტეს სჯულისთვის სიცოცხლეს სწირავდნენ.

მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად!

საქართველოს პოლიტიკური რეტროსპექტივა

სწორედ ჯერ კიდევ მაშინდელმა, ეპოქის შესატყვისმა საქართველოს გეოპოლიტიკურმა სტრატეგიამ ბევრ ხიფათს გადაარჩინა ევროპა და აჩუქა მას აღმშენებლობისთვის მშვიდობიანი საუკუნეები. ამის ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვიტყვი რამდენიმეს.

დავით აღმაშენებლის ეპოქა, მე-12 საუკუნე. გაძლიერებული მუსულმანური კოალიცია ერთი დროშის ქვეშ ერთიანდება და ეძებს ევროპაში გასასვლელს. საჭიროა გზის გაკვალვა, მაგრამ აღმოსავლეთის მბრძანებლად წოდებული, დიდი სამხედრო სტრატეგის დავით აღმაშენებლის ციტადელს ეხეთქება მთელი მუსულმანური სამყაროს ერთიანი სელჯუკთა კოალიციური არმია. სამასი ათასზე მეტი მხედრობა დაახლოებით სამოცათასიან ქართულ ჯარს შეებრძოლა. დაპირისპირება მხოლოდ სამი დღე გაგრძელდა და კოალიციამ სასტიკი მარცხი იწვნია. ევროპამ შვებით ამოისუნთქა, რადგან დიდი დავითის შენაერთები მთელი თვე ჩეხავდნენ არამკითხე მოამბეთა ნარჩენებს და საკუთარი სამშობლოს მომავალს სჭედდნენ!

აუცილებლად უნდა გავიხსენო ისიც, რომ ნახევრად ევროპაში სოლივით შეჭრილმა **იმპერიამ — ბიზანტიამ, სულ რაღაც ორი საუკუნე-ნახევრის მერე, ვერ გაუძლო ორასათასიან სელჩუკთა შენაერთებს და საკუთარ მიწასთან ერთად სახელმწიფოებრიობაც წარსულს ჩააბარა.**

რომ არა დიდი დავითის სტრატეგიული ნიჭი და მომავლის სწორი განჭვრეტა, იქნებ დღეს, ევროპის იმ 39 ქვეყანაში, რომლებიც ასე იწონებენ თავს თავიანთი განვითარებითა და სამოთხისებური ცხოვრებით, დღეს სულ სხვა კონფიგურაცია ყოფილიყო და ვინ იცის, კიდევ რამდენი სახელმწიფო აღიგვებოდა პირისაგან მიწისა იმ დაუოკებელი ტაიფუნის წყალობით, რომლის შეჩერება შეძლო მაშინდელმა „პატარა“ საქართველომ...

ევროპის კონტინენტის განვითარება სხვებისთვისაც გახდა მასტიმულირებელი ფაქტორი საკუთარი ქვეყნის უკეთ მოწყობისა და ცხოვრების კარგი პირობების შექმნისთვის. მათ სწორად აღიქვეს ცხოვრებისეულ ფაქტორთა ერთობლიობა და სხვის იმედად ყოფნის „ტკბილი სიზმრობა“ და თვითონ ააღორძინეს საკუთარი ისტორიული, ჩვეულებრივი სვლა-გეზით კარგად გააზრებული, ეპოქასთან მორგებული ეკონომიკური სიძლიერე და მის ბალავარზე დააშენეს იდეოლოგიური შენობის ცათამბჯენები.

სწორედ ეს საიდუმლო ინახება მათ აყვავებასა და სხვათა მიმართ გამოჩენილ სიფრთხილეში. ამ დროს ქართული მაქსიმალიზმის წყალობით, ვცდილობთ ორიენტირი სხვაზე, უფრო განვითარებულზე, ამ შემთხვევაში ევროპაზე ავიღოთ და ჩვენ გავხდეთ მათი ცხოვრების ნაწილი, იქნებ ჩვენც შეგვიფაროს და მისი წყალობით ავღორძინდეთ და შევიქმნათ უდარდელი ცხოვრება. საბედნიეროდ, საქართველოში ყველა ასე არ ფიქრობს...

შემთხვევით არ გამიკეთებია მოკლე ისტორიული ექსკურსი. ისტორია კარგი მასწავლებელია და ხშირად ყური უნდა ვუგდოთ წინაპართა რჩევებს. ჩვენ კი, ქართველებს, გაგიხარიათ, ბრძენი წინაპრები გვყავდა და მათი ორაკულური ნააზრევი დღესაც შეიძლება კარგ ორიენტირად გამოგვადგეს.

მოვიყვან დიდი პუბლიცისტისა და მეცნიერის ნიკო ნიკოლაძის ციტატას:

„თუ სხვის იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ ქვეყნის მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ ანდა ინდო-ჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ.“ შეიძლება მავანმა იფიქროს, რა დროს ალჟირი ან ინდო-ჩინეთია, მაგრამ, ფრთხილად ბატონებო — **დღეს სწორედ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში უფრო დახვეწილია თუნდაც დამონების სისტემები, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესატყვისად იყენებენ.** ვფიქრობ (ეს აბსოლუტური ჭეშმარიტება მგონია), ამ **ტურბულენტურ სამყაროში, ყველა საკუთარ თავზე და მის გადარჩენაზე ფიქრობს.** სწორედ ამ სიფრთხილითაა ნაკარნახევი 21-ე საუკუნის გამაოგნებელი ომი რუსეთსა და უკრაინას შორის, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ ფაქტია ათასობით და ასიათასობით ადამიანების სიცოცხლის ფასად, ერთი იმპერია ცდილობს საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ყველა სხვის წინაშე, რომლებსაც ნაკლები იმპერიული ზრახვები ნამდვილად არ ამოძრავებთ, მაგრამ ამას ფუთავენ სხვადასხვაგვარად, რომ ჰუმანური მანტიით იარონ სხვა, მცირე ხალხთა, დასანახავად.

ეს რაც შეეხება დიდ პოლიტიკას. ახლა ჩავიხედოთ ჩვენს შინაგან სამყაროში. **რა ხდება, საით მივისწრაფვით, რამდენად გააზრებულია ჩვენი ნაბიჯები და როდის, ან სად უნდა დადგეს ის ნანატრი შედეგი, რომლის მოლოდინი გვაქვს. თუმცა ის ხომ შეიძლება იყოს მირაჟი, რომელიც შეიძლება წამიერად გაქრეს?!**

მინდა პირდაპირ ვთქვა: ჩემი მოსაზრებები, არამც და არამც არ ემსახურება რაღაც დიდაქტიკურ მოტივებს, ადამიანების გადარწმუნებას საკუთარი აზრისგან. უბრალოდ, გამოცდილებამ და მსოფლიოში მიმდინარე რყევებმა მიკარნახა, მეთქვა ჩემი სათქმელი, რომ მომავალმა თაობებმა არ იფიქრონ ჩვენ, **ილია ჭავჭავაძის** წლოვანების ადამიანები, გულხელდაკრეფილები ვისხედით და ვუყურებდით ახალ ლიბერალთა მოძალებულ ემოციურ ნარატივებს, რომლებსაც „დიდი სურვილი“ აქვთ, გადაარჩინონ ეს ქვეყანა და თვითონ იყვნენ ბატონ-პატრონი დედამიწის ამ პატარა „მიწის ნაგლეჯზე“. მე დარწმუნებული ვარ, ჩემი თაობის ადამიანები ფიქრობენ გამოსავალზე, როდესაც უყურებენ ქაოსის წკვარამში გადასაზიპოლიტიკური გაგება, რომელზეც ყველაფერს აგებენ და ამას სრულიად მისაღებად მიიჩნევენ. დაკვირვებული თვალი შენიშნავს, რომ დემოკრატიის დღევანდელი გაგება ლიბერალიზმის საფუძველზე დგას, რომელიც ეყრდნობა კამიუსეულ მოსაზრებას, — **„ყველაფერი ნებადართულია და არაფერი არაა აკრძალული“. სწორედ ყველაფერში იგულისხმება (მავანთა აზრით) სახელმწიფოს გადატრიალებისკენ სწრაფვაც, ნებისმიერი სახელმწიფო პერსონების შეურაცხყოფა და დაკნინებაც და რაც მთავარია, „უნდა წახვიდეს“ და „უნდა მოვიდე“-ს განუწყვეტელი ძახილი.** საინტერესო ისაა, რომ ეს ადამიანები ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში ეძებენ საბაბს იმისთვის, რომ წარმოაჩინონ საკუთარი თავი ქვეყნის გადამრჩენლად და აღმაშენებლად. რომ არა თქვენ, ყველაფერი ხომ სხვაგვარად იქნებოდა. მე ვერავინ შემიშლიდა ხელს, მე დიდი ხნის უკან წავიდოდი „შინ ევროპისკენ!“, შენ კი ყველაფერ ამას მონდომებითა და ყოველგვარი ხერხებით ამუხრუჭებ და „დროა“, მე დამითმოთ ასპარეზი „მშვიდობიანად“, რომ რევოლუციონერის იარლიყიც არ მომაკეროთ და დამსახურებულად არ გამამწესოთ, სადაც ჯერ არს! ეს ყოველივე, ჩემი ღრმა რწმენით, დილეტანტიზმის უმაღლესი გამოვლინებაა, რომელსაც ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანების ხროვა შთაგონებს ხოლმე უნებისყოფო ადამიანებს. ისიც საინტერესოა, რომ სწორედ დილეტანტთა ბღავილი და ჩხავილი სახელმწიფოს განვითარებასა და სრულყოფას აშკარად ხელს უშლის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფალთ დრო ნაკლებად რჩებათ, იფიქრონ ქვეყნის მომავალზე და ძვირფასი დრო დახარჯონ არაფრისმაქნის კინკლაობებზე. როგორც ვხედავთ, პროფესიონალიზმი საჭირო და აუცილებელი ატრიბუტია ქვეყნის წინსვლა-აღორძინების სამომავლო საქმეში.

რამდენიმე ნაწილად გაყოფილი ხალხი და არა ქვეყანა, ცდილობენ ერთმანეთს პრინციპულად დაშორდნენ, თითქოსდა სამშობლოს სიყვარული მათთვის უპირველესია, მაგრამ საკუთარი დილეტანტური გონებიდან დანახული და აღქმული. რატომ ხდება ეს, ალბათ, ყველასთვის ნათელია. ვხედავთ ყველა, თუ რამდენი „ტროას ცხენი“ არის შემოგორებული ჩვენს ქვეყანაში და ვის ინტერესებს, ვის ემსახურება ყოველი მათგანი, მაგრამ შედეგი? არაფრისკენ მიმავალი და ავი მოლოდინის რეჟიმში მყოფი...

იხ. 8 გვ.

რომ არა დიდი დავითის სტრატეგიული ნიჭი და მომავლის სწორი განჭვრეტა, იქნებ დღეს, ევროპის იმ 39 ქვეყანაში, რომლებიც ასე იწონებენ თავს თავიანთი განვითარებითა და სამოთხისებური ცხოვრებით, დღეს სულ სხვა კონფიგურაცია ყოფილიყო და ვინ იცის, კიდევ რამდენი სახელმწიფო აღიგვებოდა პირისაგან მიწისა იმ დაუოკებელი ტაიფუნის წყალობით, რომლის შეჩერება შეძლო მაშინდელმა „პატარა“ საქართველომ...

იან ბჟეზინსკი:

ნატო თბილისს და კიევს მკაფიო სიგნალები უნდა გაუგზავნოს

მადრიდში გამართულ სამიტზე ალიანსმა შვედეთის და ფინეთის ნატოში გაწევრების გადაწყვეტილება მიიღო. 30 მოკავშირის მიერ რატიფიკაციის პროცესის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ნატოსა და რუსეთს შორის დღემდე არსებული 1250-კილომეტრიანი სახმელეთო საზღვარი გაორმაგდება. ეს ერთ-ერთ მიზეზია იმისა, თუ რატომ უწოდებენ მადრიდის სამიტს ისტორიულს.

ამ სამიტზე ნატომ რუსეთი დაუყოვნებელ და პირდაპირ საფრთხედ გამოაცხადა. მოკავშირეები შესაბამისი ზომების მიღებაზეც შეთანხმდნენ. ატლანტიკური საბჭოს მკვლევარი იან ბჟეზინსკი ამბობს, რომ ნატომ საქართველოს და უკრაინას მკაფიო დადებითი პასუხი არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ მოქმედებითაც უნდა მისცეს და ისინი ალიანსთან დააახლოვოს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად. „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ბჟეზინსკის ესაუბრა.

— ბატონო იან, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ნატოს მადრიდის სამიტს დამკვირვებლების ნაწილი ისტორიულს უწოდებს. თქვენ რას ფიქრობთ და როგორ აფასებთ მას?

— ეს ცივი ომის შემდეგ ნატოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამიტი იყო იმ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რა ფონზეც ის გაიმართა. ფონი კი რუსეთის უკრაინაში შეჭრა და იქ მიმდინარე ომია. ბირთვული სახელმწიფო თავს დაესხა ალიანსის მეზობელ ქვეყანას, ხოლო ალიანსი აქტიურ დახმარებას უწევს უკრაინას. ალიანსის ეს შეკრება ევროპაში ომის დაბრუნებას დაემთხვა.

მეორე ფაქტორი ის არის, რომ ალიანსმა დაიწყო რუსული აგრესიის წინააღმდეგ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ნაბიჯების გადადგმა. ეს არის ახალი, ცივი ომის შემდგომი პერიოდის დასაწყისი, როცა დასავლეთსა და რუსეთს შორის მომატებული სამხედრო დაძაბულობა იარსებებს. ჩემთვის ეს სამიტი ამის გამო არის მნიშვნელოვანი.

— ამასთან ერთად მოხდა ერთგვარი უპრეცედენტო რამ — ნეიტრალურმა ქვეყნებმა შვედეთმა და ფინეთმა საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად გადაწყვიტეს ალიანსს შეუერთდნენ. ბოლო წუთამდე უცნობი იყო იქნებოდა თუ არა თანხმობა ალიანსში მათ მიღებაზე, მაგრამ თურქეთი საბოლოო ჯამში დათანხმდა და ახლა ნატოს გაფართოების კიდევ ერთი ტალღა იწყება. რას ფიქრობთ ამ ნაბიჯზე, როგორ მოვედით აქამდე?

— დიახ, ეს ცოტა სანერვიულო იყო. თურქებმა, რა თქმა უნდა, ორი ახალი წევრის მიღების შესაძლებლობა თავიანთი დღის წესრიგის დასაწინაურებლად გამოიყენეს, რაც არ არის გასაკვირი. თურქები წინააღმდეგობას გამოთქვამდნენ შვედეთის მხრიდან თურქეთისთვის იარაღის ემბარგოზე და განსაკუთრებით, ერდოღანი შეშფოთებას გამოხატავდა შვედეთის და ფინეთის პოზიციის გამო, რომელიც მათ ქურთების მიმართ აქვთ. საბოლოოდ გარიგება შედგა. იარაღის ემბარგო მოიხსნა.

შვედები და ფინელები დათანხმდნენ ქურთისტანის მუშათა პარტია ტერორისტულ ჯგუფად გამოაცხადონ. უნდა ითქვას, რომ ეს გარიგება ვერ შედგებოდა შეერთებული შტატების ძლიერი მხარდაჭერის გარეშე. ამ მხარდაჭერის ნაწილი იყო ამერიკის მხრიდან მატერიალური დახმარების პირობა, ასევე ეფ-16 ტიპის თვითმფრინავების მიყიდვა — რაც ჩემი აზრით, კარგი გადაწყვეტილებაა, რადგან თურქეთს უნდა ჰქონდეს ძლიერი თავდაცვა და ეს თვითმფრინავი ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ ყველაფერს დამატება პრეზიდენტ ბაიდენისა და პრეზიდენტ ერდოღანის შეხვედრის ჩანიშვნაც.

— თქვენი აზრით, რატომ იყო ერდოღანისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პრეზიდენტ ბაიდენთან შეხვედრა მაშინ, როცა მეორეს მხრივ, თურქული მხარე დასავლეთს, ფაქტობრივად, იდეოლოგიურ დათმობებს სთხოვდა?

— როცა თურქეთთან ვმუშაობთ, ვმუშაობთ ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოკავშირესთან და ნატოს ერთ-ერთ ყველაზე ქმედუნარიან ძალასთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცივი ომის დროს თურქეთი, ფაქტობრივად, ალიანსის თავდაცვის ფრონტის ხაზი იყო და ალიანსის ოპერაციებში დიდ როლს თამაშობს. ცხადია, ეს არ არის სრულყოფილი ქვეყანა, მაგრამ არც ერთი ქვეყანა სრულყოფილი არაა.

რა სურდათ თურქებს? ვფიქრობ, მათ უნდოდათ დასავლეთის მიერ ტერორიზმთან დაკავშირებული მათი შეშფოთების დადასტურება. მე არ ვეთანხმები ყველაფერს, რასაც ისინი ამბობენ ქურთულ ორგანიზაციებზე, მაგრამ ქურთისტანის მუშათა პარტიასთან დაკავშირებით მათი პოზიცია გამართლებულია. ცხადია, ახალი წევრების მიღების დროს მათ ინტერესებში შედის იმის უზრუნველყოფა, რომ ახალი წევრები მტკიცედ დგანან ტერორიზმის წინააღმდეგ. მეორე, შვედეთის მხრიდან იარაღის ემბარგო იყო. რთული არ არის არგუმენტის დაცვა, რომ ნათელი მოკავშირეები ერთმანეთს იარაღს არ უნდა უბლოკავდნენ. ვფიქრობ, ეს ლეგიტიმური მოთხოვნა იყო.

რაც შეეხება ბაიდენთან შეხვედრას, ეს მნიშვნელოვანი იყო პირადად ერდოღანისთვის, რადგან მას აქამდე არ ჰქონია ორმხრივი შეხვედრა პრეზიდენტ ბაიდენთან, რაც მას გარკვეულ ლეგიტიმაციას ანიჭებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

— თქვენი აზრით, შეერთებული შტატები თურქეთს (რუსული სარაკეტო სისტემების) ეს-400-ის თემაზე ელაპარაკება?

— ეს საკითხი ყოველთვის არის განხილვის თემა და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ თურქები ამ სისტემას ჩამოვაშოროთ. ეს რუსული სისტემა არის მომაკვდინებელი კიბო თურქეთის შეიარაღებულ ძალებში. მას თან ახლავს უამრავი რისკი და ყოველი დღე, როცა ეს-400 იქ არის და ყოველი დღე, როცა მასზე რუსი ჯარისკაცები მუშაობენ, რისკი არსებობს როგორც თურქეთისთვის, ასევე ალიანსისთვის. ეს საკითხი თურქებს ხელს უშლის იყიდონ ის, რაც მათ ძალიან უნდათ — მსოფლიოში საუკეთესო ამერიკული გამანადგურებელი თვითმფრინავი ეფ-35.

— საექსპერტო წრეებში რამდენჯერმე გამოითქვა ერთგვარი რადიკალური იდეა, რომ თურქეთმა ეს-400 უკრაინას უნდა მისცეს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— იცით, მე ამას არ შევეწინააღმდეგებოდი. უკრაინელებს სჭირდებათ ყველაფერი, რის მიღებაც შეუძლიათ ცის დასაცავად და რუსული თვითმფრინავების ჩამოსაგდებად. ეს თურქების მხრიდან ძალიან თამამი, მაგრამ ასევე ძალიან ძვირი ნაბიჯი იქნება.

— მოდით, ახლა რუსეთზე ვისაუბროთ. ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრებაზე რეალური მოლაპარაკებები 24 თებერვლის, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ დაიწყო. იდეა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ის მხოლოდ იდეა იყო. დღეს პრეზიდენტი პუტინი უცნაურ სიტუაციაშია. ის ამბობდა, რომ ნატო რუსეთს საფრთხეს უქმნის და რომ უკრაინას თავს ამიტომ დაესხა. შედეგად კი მიიღო უფრო ძლიერი ნატო, უფრო დიდი ნატო და უფრო ახლოს მდებარე ნატო. როგორ ფიქრობთ, ამაზე მისი რეაგირება როგორი იქნება ?

— თქვენ იცით, პუტინმა განაცხადა, რომ ნატოში გაწევრებას უარყოფითი შედეგები მოჰყვება ფინეთსა და შვედეთისთვის. ამის გარდა, ის ფაქტობრივად სდუმს. მან იცის, რომ ეს საკითხი მის კონტროლს მიღმაა. პუტინი პრაგმატულია. მან იცის, რომ ამ მატარებელს ვერ გაჩერებს. ის არ აღმართავს წითელ დროშას, ის არ ხტუნავს მაღლა-დაბლა იმიტომ რომ, იცის, ეს მას სუსტად წარმოაჩენს.

ROოდესაც ამ ქვეყნებს მკაფიო სიგნალს არ ვუგზავნით, მათ რუხ ზონაში ვტოვებთ და ამ რუხ ზონებში მათმა დატოვებამ რუსეთის მხრიდან სამი თავდასხმა გამოიწვია — 2008 წელს საქართველოში, 2014 წელს უკრაინაში და ომი, რომელიც დღეს მიმდინარეობს.

თქვენ იცით, ბოლო დღეებში რუსეთის მაღალჩინოსნებმა, მათ შორის პუტინმაც, თქვეს, რომ თუ ნატოს დამატებითი ინფრასტრუქტურა განთავსდება რუსეთის დასავლეთით, რაშიც შვედეთსა და ფინეთის გულისხმობდნენ, ისინი იძულებული იქნებიან რეაგირება მოახდინონ. ეს შესაძლოა იმას გულისხმობს, რომ მათ საზღვრებთან რუსული კონტინგენტი გაზარდონ, მათ შორის, შესაძლოა ბირთვული იარაღიც განალაგონ. თუმცა, არ მგონია ამით სიტუაცია ასე შეიცვალოს. მნიშვნელობა არა აქვს ბირთვული იარაღი საზღვარზე იქნება თუ საზღვრიდან ასი კილომეტრის მოშორებით. ეს დიდი განსხვავება არ არის. შესაბამისად, ეს განცხადება უფრო მეტად იმაზე ორიენტირებული მუქარაა, რომ დასავლეთში განხეთქილება შექმნან.

შვედეთის და ფინეთის ნატოში ფორმალური გაწევრება თითქმის დასრულებული საქმეა. აქამდე ისინი ნატოს დე ფაქტო წევრები იყვნენ და ალიანსთან თითქმის სრულად ურთიერთთავსებადი არიან. ალიანსში მათი გაწევრება, ფაქტობრივად, ცვლის ნიშანს კარზე, რომ ეს ახლა ნატოა, და არა ურთიერთდამოკიდებულებას და ძალთა ბალანსს რეგიონში.

— თქვენი აზრით, რას ნიშნავს შვედეთის და ფინეთის ნატოში ასეთი სწრაფი ტემპით გაერთიანება საქართველოსა და უკრაინისთვის? შეიცვალა თუ არა რაიმე ამ ორი ქვეყნისთვის?

— ვფიქრობ, სამწუხაროდ, ეს უარყოფითი სიგნალი იყო. საქართველო და უკრაინა მონაწილეობენ ნატოს ოპერაციებში. ძალიან ნათლად მაქვს გონებაში შემონახული მოგონება, როცა ვუყურებდი ვიდეოს, რომელზეც მე ვნახე ქართველი ჯარისკაცების მიერ თალიბების წინააღმდეგ გამართული ბრძოლა ქაბულში, როცა ისინი ამერიკის საელჩოს იცავდნენ. ეს ძალიან დრამატული იყო და კარგად აჩვენებდა სიმამაცეს, რომელიც ქართველებს ჰქონდათ დასავლეთთან ერთად ბრძოლაში. მე, ისევე როგორც თქვენ, იმ ადამიანებს შორის ვარ, რომლებიც საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრების მტკიცე მხარდამჭერები არიან. ეს ქვეყნები ამას იმსახურებენ. მათი წევრობა ალიანსს გააძლიერებს და რეგიონში სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

ROოდესაც ეს ქვეყნები ხედავენ, რომ შვედეთი და ფინეთი მათთან შედარებით, ფაქტიურად, წამის მეასედში წევრიანდებიან ალიანსში, უკრაინისა და საქართველოსთვის ეს ალბათ იმედგაცრუებაა. რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებს შორის განსხვავებები არსებობს. შვედეთი და ფინეთი უფრო მეტად არიან ინტეგრირებული ვიდრე საქართველო და უკრაინა. მიუხედავად ამისა, ალიანსის მხრიდან არ უნდა იყოს არანაირი გაურკვევლობა საქართველოს და უკრაინის ტრანს-ატლანტიკურ სივრცეში, მათ შორის, ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით.

ROოდესაც ამ ქვეყნებს მკაფიო სიგნალს არ ვუგზავნით, მათ რუხ ზონაში ვტოვებთ და ამ რუხ ზონებში მათმა დატოვებამ რუსეთის მხრიდან სამი თავდასხმა გამოიწვია — 2008 წელს საქართველოში, 2014 წელს უკრაინაში და ომი, რომელიც დღეს მიმდინარეობს. ვფიქრობ, მათი წევრობის განაცხადზე მკაფიო დადებითი პასუხი არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ მოქმედებით — იქნება ეს მაპი, რომელიც ძალიან დაგვიანდა, თუ რაიმე სხვა, ჩვენი სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად.

— საქართველოში საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ძალისხმევის, შრომის და თავგანწირვის მიუხედავად, საქართველოსთვის წევრობის გამოკვეთილი გზის არ შეთავაზებით, ნატომ საქართველო დაივიწყა. ამ სენტიმენტს რუსეთი, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ იყენებს და საქართველოში ანტი-დასავლურ სენტიმენტებს აღვივებს. თქვენ როგორ უყურებთ ამას, როგორ ხსნით ამ გრძელ პაუზას?

— ერთი მხრივ, ეს სენტიმენტი მესმის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის უსამართლოა და ასე ფიქრი, არასწორი დასკვნების გაკეთებაა. 2008 და 2014 წლებში საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაზე დასავლეთის პასუხი ზედაპირული სანქციების დაწესება და ნატოს აღმოსავლეთში მსუბუქი ძალების კონტინგენტის გაშვება იყო. ერთ წელში ეს ნაბიჯები არსებითად გაქრა, განსაკუთრებით, ეკონომიკურ ფრონტზე და დასავლეთსა და რუსეთს შორის ყველაფერი ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდა.

დღეს, სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავებულია. დღეს ვხედავ ბევრად უფრო მკაცრ და გრძელვადიან პასუხს. დასავლეთი სერიოზულ რისკებზე მიდის უკრაინის მხარდასაჭერად, ამასთან, რუსეთზე დაწესებულ სანქციებს დასავლეთზეც აქვს ეკონომიკური გავლენა და ამ სამიტმა უკრაინას დახმარების პირობა მისცა იმ დრომდე, ვიდრე უკრაინა არ გაიმარჯვებს. ვფიქრობ, ეს საქართველოსთვის იმედის მომცემი უნდა იყოს, ისევე როგორც ის იმედის მომცემია უკრაინისთვის.

ჩემი აზრით, დასავლეთი უფრო მეტს უნდა აკეთებდეს, მაგრამ წარსულთან შედარებით, ბევრი რამ კეთდება. ტრანსატლანტიკური თანამეგობრობა აცნობიერებს იმას, რომ რუსეთთან გრძელვადიანი პრობლემა გვაქვს და რომ მასზე რეაგირებას ძლიერი სტრატეგია სჭირდება. ჩვენ ნელი ტემპით ვაძლიერებთ რეაგირებას — ეს არ არის საკმარისად სწრაფი ნაბიჯები, მაგრამ მე არ დავთანხმები არავის, ვინც იტყვის, რომ საქართველომ და უკრაინამ დასავლეთთან ურთიერთობაში ხელი უნდა ჩაიქნიონ. პირიქით!

ია მეურმიშვილი

აღმოსავლური პასუხი პუტინს, არძინბებს, ტანიებს, კადიროვებსა და მათ უკან მდგომთ!..



აფხაზეთში ტაქსით სარგებლობა აშშ-ის ლიდერ ჯოზეფ ბაიდენის კვალდაკვალ ყაზახეთის პრეზიდენტ ქასიმ-ჟომარტ ტოკაევსაც აეკრძალა. კომპანია „А-Такси“-ს ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთ რუსულ გამოცემაში გამოქვეყნდა. ნაკლებ სავარაუდოა, ან ბაიდენს, ან ტოკაევს ოდესმე ამ სერვისით სარგებლობა ჰქონოდათ გეგმაში და ეჭვი მეპარება, მათ დიდად ენერვიულათ ამ „სანქციის“ გამო. აი რეკლამა კი კომპანიამ ნამდვილად ურიგო გაიკეთა: მისი დემარშის შესახებ ინფორმაცია ხომ, გარკვეული კომიკურობის გათვალისწინებით, სიამოვნებით აიტაცა არაერთმა სხვა მედიასაშუალებამაც.

„დასჯის“ მიზეზად კი იქცა ტოკაევის მიერ პეტერბურგის ამასწინანდელ „საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე“ რუსეთის პრეზიდენტის თანდასწრებით გაკეთებული განცხადება:

„თვითგამორკვევის უფლების რეალიზების შემთხვევაში მსოფლიოში ამჟამინდელი 193-ის ნაცვლად, 500-600 სახელმწიფოს მივიღებთ, რაც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ქაოსს გამოიწვევს. ამდენად, ყაზახეთი არ აღიარებს არც კოსოვოს, არც ტაივანს, არც აფხაზეთს, არც სამხრეთ ოსეთს და როგორც ჩანს, ასეთივე მიდგომა გვექნება დონეცკისა და ლუჰანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების მიმართაც, რომლებსაც კვაზისახელმწიფოებად მივიჩნევთო“.

ტაივანიდან და კოსოვოდან რეაგირება ჯერ არ ყოფილა. დუმან ცხინვალშიც. როგორც ჩანს, მოსკოვის ბრძანებას ელიან დონეცკსა და ლუჰანსკშიც. აი, აფხაზეთში კი ყაზახეთის პრეზიდენტის განცხადებამ ნეგატიური გამოხმაურებების ზვავი გამოიწვია. აფხაზეთის „საგარეო საქმეთა მინისტრი“ ინალ არძინბა დაემუქრა კიდეც ყაზახეთს, “ჩვენ მშვიდობიანი სტუმართმოყვარე ქვეყანა ვართ, (...), მაგრამ სჯობს, ჩვენი უფლებების დარღვევა არავინ სცადოსო“. ხოლო „საგარეო უწყების განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა“ კან ტანიამ გადაწყვიტა, ტოკაევისთვის ისტორია, პოლიტიკა და დიპლომატია ესწავლებინა. საკუთარ ფეისბუქგვერდზე მან დაწერა, რომ „არსობრივად, თავად ყაზახეთის სახელმწიფოებრიობა უახლეს ისტორიაში თითქმის იმდენივე წელს ითვლის, რამდენსაც რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტების ისტორია და ოდნავ მეტს, ვიდრე დონეცკისა და ლუჰანსკის სახალხო რესპუბლიკების“, რომ “ქაოსი იმ ქვეყნების ლიდერების გამო ჩნდება, რომლებმაც არ იციან ისტორია და პატივს არ სცემენ სხვა ხალხების უფლებებს, განურჩევლად მათი რიცხოვნობისა“ და რომ „მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში დიპლომატიურ განათლებამიღებული ტოკაევის განცხადება სტუდენტისას უფრო ჰგავდა, ვიდრე დიპლომატისას და პრეზიდენტისას“.

რაღა თქმა უნდა, ტოკაევი სტუდენტი არაა. იგი არ თავხედობს, არ ღრენს უძლურებისგან უმწიფარი პოლიტიკოსივით. მან ზუსტად იცის, რა მიზნით სად ვის რა უთხრას და რით დაიცვას თავი საჭიროების შემთხვევაში. პუტინის რეჟიმისგან განსხვავებით, რომლის მხარდაჭერასაც ასე ხისტად მოითხოვს მისგან კან ტანია, ტოკაევი თავს არავის ესხმის, ათასი გამოგონილი საბაბით არავის ტერიტორიების ოკუპაციას არ ახდენს, ხოლო შემდეგ არ იერთებს და ამ პროცესში „სხვა ხალხების უფლებების პატივისცემაზე“ არ ღაღადებს. იგი უბრალოდ მშვიდად და გააზრებულად იცავს თავის ინტერესებს, კან ტანიასგან განსხვავებით — თავისას და არა პუტინისას, რომელმაც ამას წინათ თანამედროვე პეტრე პირველად, „რუსული მიწების შემგროვებლად“ გამოაცხადა თავი, სუვერენული მეზობლების მიწების დაპყრობანას თამაშში მეტისმეტად გაერთო, რეალობას ასცდა, თანაც ხასიათდება მავნე ჩვევით, აღიარებდეს სწორედ მათ დამოუკიდებლობას, ვისაც შემდგომში მიერთებას უპირებს. ამასთან, ტოკაევმა, კან ტანიასგან განსხვავებით, მშვენივრად იცის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელსაც თავის დროზე პუტინიც დეკლარირებდა — რომ „პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს“. და არც ჰგავს დიდად მეგობრობას მოსკოვიდან ყაზახეთისადმი უკვე არაერთგზის გაჟღერებული მუქარა „უკრაინული სცენარის გამეორების“ თაობაზე. რაც მთავარია, ტოკაევს, ინალ არძინბასა და კან ტანიასგან განსხვავებით, ესმის, რომ საზიანოა მეგობრობა საერთაშორისო დამნაშავესთან, გარიყულთან, ოკუპანტთან და აგრესორთან, რომელიც საკუთარი ავადმყოფური იმპერიალისტური ამბიციების დასაკმაყოფილებლად უკრაინაში მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს აუპატიურებს, აწამებს და კლავს; რომ ასეთებთან არც ერთი თავმოყვარე, გამოცდილი პოლიტიკოსი არ გააგრძელებს ახლობლობას, თუკი ფიქრობს საკუთარ კარიერასა და თავისი ქვეყნის მომავალზე.

სწორედ ამიტომ მსხვილი ინვესტორების, ბიზნესმენებისა და მსოფლიო ლიდერების ნაცვლად, როგორც ადრე იყო, წლევანდელი ფორუმის „ვარსკვალებად“ იქცნენ თალიბები, რომლებიც თავად რუსეთშიც კი ტერორისტებად არიან მიჩნეულები. პეტერბურგის ფორუმი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კრემლისთვის უკრაინასთან ომის პირობებში და რომელიც პუტინის მიერ ახალი ანტიდასავლური კოალიციის ჩამოსაყალიბებლად მოკავშირეების კონსოლიდაციის პლატფორმად მოიაზრებოდა, მხოლოდ მორიგ მტკიცებულებად იქცა იმისა, რომ რუსეთი სრულ იზოლაციაშია. ერთ დროს პრესტიჟული ეს ღონისძიება, რომელმაც ამჯერად კრემლის საგარეო პოლიტიკაში არსებულ კატასტროფულ ჩავარდნებს ახადა ფარდა, პუტინი საერთაშორისო მედიაში დაცინვის ობიექტად აქცია და რუსეთის საერთაშორისო პოზიციების შესუსტების დამატებით მტკიცებულებად იქცა, საკუთარი თავის კარიკატურას უფრო ჰგავდა.

ახლა კრემლის პროპაგანდა გამალებული ცდილობს საიმიჯო ზიანის შენიღბვას. რუსულ საზოგადოებას არწმუნებენ, „გეოპოლიტიკას თავისი წყალქვეშა ქვები ახასიათებს“, „მოკავშირეების საჯარო გამონათქვამები რეალობას არ ასახავსო“ და ა.შ. მაგრამ თავად რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დიდ ძალას ატანენ თავს, რომ გაღიზიანება არ გამოამჟღავნონ და როგორც ჩანს, აცნობიერებენ: საქმე არა უბრალოდ ცუდადაა, არამედ იმაზე ბევრად ცუდად, ვიდრე წარმოედგინათ, როცა მეზობლების მიმართ მორიგ აგრესიას იწყებდნენ. კრემლის ბინადრები კბილებს აღრჭიალებენ და ამ ღრჭიალში მკაფიოდ ისმის სიტყვა „ღალატი“, რაც უპირველესად, ყაზახეთისა და ჩინეთისკენაა მიმართული — მათკენ, ვინც ასე ძალიან ეიმედებოდა პუტინს. ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას მან ფაქტობრივად, ღიად ითხოვა მათი მხარდაჭერა: „დიდი შეცდომაა, იფიქრო, რომ ამ მასშტაბური ცვლილებების პერიოდს გადააგორებ, განზე მოიცდი, მერე კი ყველაფერი დალაგდება და ძველებურად იქნება... ასე არ მოხდება, ძველებურად აღარაფერი იქნებაო!“. მაგრამ ყაზახეთმა და ჩინეთმა ფაქტობრივად, პირდაპირი ტექსტით უპასუხეს: ვოლოდია, შენი არაფერი გვმართებსო!

და რა მოიმოქმედა მოსკოვმა? არც არაფერი! ჯერჯერობით ერთადერთი, ვინც საჯაროდ გამოთქვა, რას ფიქრობენ ზემოაღნიშნულზე კრემლში, ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვია. მან ტოკაევი ღალატში დაადანაშაულა და იქვე მიაყოლა სომხეთის პრემიერიც, რომელიც, მისი შეფასებით, ასევე ვალშია პუტინთან, მაგრამ მისი მხარდაჭერა არ სურს: „რუსეთმა გადაარჩინა ყაზახეთი“ როცა ყაზახეთი სუვერენიტეტს კარგავდა, ვინ დაეხმარა? — რუსეთი! როცა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი იყო, ვინ შეასრულა საკვანძო როლი? — პუტინმაო!“. მაგრამ ტოკაევმა ამ გამოხტომასაც მყისიერი ხისტი პასუხი გასცა, განაცხადა რა რუსულ ტელევიზიასთან ინტერიუში, რომ სულაც არ აპირებს, მუდამ ემსახუროს და ფეხქვეშ გაეგოს რუსეთს: „რუსეთში ზოგიერთები ცრუობენ, თითქოს რუსეთმა ყაზახეთი გადაარჩინა და ახლა ჩვენ სამუდამო ვალში ვართ მასთან, მუდამ უნდა ვემსახუროთ და ფეხქვეშ გავეგოთ. ვთვლი, რომ ეს სრულიად გაუმართლებელი მსჯელობაა, მე ვიტყოდი, შორს მდგომი რეალობისგანო“.

მაინც რატომ არ ეშინია ყაზახეთის ლიდერს პუტინის? უკრაინაში შეჭრის შემდეგ ხომ რუსეთის პრეზიდენტთან მსგავსი ტონით საუბარი თითქოსდა სარისკო უნდა იყოს. მით უფრო, რომ კრემლში მჯდომი „ცხელი თავები“ ხშირ-ხშირად „შეახსენებენ“ ყაზახეთს „რუსულენოვან მოსახლეობას“. პასუხი ამ კითხვაზე მარტივია: ყაზახეთს უკან ჩინეთი უდგას.

პეტერბურგის სამიტზე ტოკაევი არ ჩასულა პუტინის მოკავშირის სტატუსით — როგორც თავად რუსეთის ლიდერს ეგონა. იგი ჩავიდა კონკრეტული მისიით: ყველასთვის მაქსიმალურად გასაგები ფორმით მიეტანა რუსეთის პრეზიდენტამდე იმის გზავნილები, ვისაც პუტინი მოკავშირედ თვლიდა. საუბარია სი ცზინპინზე — ჩინეთის ლიდერზე, რომელიც ფორუმზე არ ჩასულა — მეტისმეტად დიდი პატივი იქნებოდა და იმიტომ. მისი გზავნილები კი, ანალიტიკოსების აზრით, ასეთია: 1. ჩინეთი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების სუვერენიტეტის აღიარებას არ აპირებს. რუსეთის შესაძლო მცდელობები, უკრაინის გარკვეული ტერიტორიები მიიერთოს, ჩინეთში გაგებას ვერ ჰპოვებს. პუტინის ლოგიკა მისი ქმედებების საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ პეკინისთვის მიუღებელია; 2. ჩინეთი რუსეთის საამებლად დასავლეთთან თავისი ეკონომიკური ურთიერთობებით გარისკვას არ აპირებს. მას სჭირდება აშშ-სა და ევროპასთან ვაჭრობა, ამდენად, მას არ შეწყვეტს და დასავლეთის ანტირუსულ სანქციებსაც დაიცავს; 3. ჩინეთი ძირშივე კლავს პუტინის მცდელობებს, განავრცოს რუსეთის გავლენა აღმოსავლეთის ქვეყნებზე და უპირველესად ყაზახეთზე; 4. ჩინეთს არ სურს დასავლეთისა და აღმოსავლეთის გლობალური ომი. მას ურჩევნია, მოურიგდეს აშშ-ს, მის მოკავშირეებს და არ ეომოს მათ და მით უფრო ბირთვული იარაღი აჟღარუნოს; 5. ჩინეთი არასოდეს ყოფილა რუსეთის მოკავშირე და მით უფრო არაა დღეს. რუსეთი მისთვის უფრო საკვებია, იაფი რესურსები, მაგრამ არა თანასწორი პარტნიორი.

არაერთი ანალიტიკოსი, მათ შორის რუსიც თვლის, რომ თუ ჩინეთი ცოტა უფრო მეტი დაჟინებით დაიწყებს მოქმედებას, რუსეთს, არსობრივად, არ რჩება არგუმენტი საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად, რადგან თავისი გაუაზრებელი ავანტიურისტული პოლიტიკით პუტინმა ქვეყანას ხელიდან ყველა არგუმენტი გამოაცალა. მათივე აზრით, მარტივად შესაძლებელია, ომის შემდეგ ჩინეთმა პუტინი არჩევანის წინაშე დააყენოს: ან ძალაუფლებას კარგავ, ან ინარჩუნებ ჩინეთის მხარდაჭერით, მაგრამ ივიწყებ გლობალურ ამბიციებს და პროჩინური ორიენტაციის რეგიონული ლიდერის როლს სჯერდები — დაახლოებით ისეთს, როგორიც ტოკაევს აქვს. რუსეთის შემდგომ ხელისუფლებას კი, რომელიც პუტინს შეცვლის, ძალზე რთულ გამოწვევად შეიძლება, ექცეს ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა.

იციან კი მთელი ამ პოლიტიკური წიაღსვლების შესახებ იმ ახალგაზრდა აფხაზმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ტოკაევს ასწავლიან ჭკუას? ხედავენ კი ისინი სხვაობას აფხაზეთისა და პუტინის რუსეთის ინტერესებს შორის? თუ მათი გამონათქვამებით ვიმსჯელებთ — არა. ამდენად, მათ ადგილზე რომ ვიყო, ახლა კარგად დავფიქრდებოდი როგორც საკუთარ ხვალინდელ დღეზე, ისე აფხაზეთის მომავალზე.

ეკა ცანავა

ბრძოლა „ჩუმ მკვლელთან“

ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ სნეულებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საშიში დაავადებაა **ტუბერკულოზი (ჭლექი), რომლის მრისხანება ბოლო დროს გაჩენილ სხვა ინფექციათა ფონზე, საზოგადოებრივ შემეცნებაში ერთგვარად „ჩრდილშია მოქცეული“. არადა, ის მუდმივად გვახსენებს თავს და, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლიდან მოყოლებული მთელი მსოფლიო კოვიდ-19-ის პირობებში ცხოვრობს, მას აქტუალობა არ დაუკარგავს. არსებობს იმის მზარდი სამეცნიერო თუ პროგრამული მტკიცებულებები, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტი-პულმონოლოგები იზიარებენ, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო კოვიდ-19-ის პანდემია აუცილებლად გამოიწვევს ტუბერკულოზის შემთხვევათა რაოდენობის ზრდას.**

აბასთუმნის ფილტვის ცენტრი

სწორედ ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვა იყო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს მორიგი სხდომის მიზანი, რომელსაც მისი თავკაცი, აკადემიკოს-მდივანი **რამაზ ხეცურიანი** უძღვებოდა. მოხსენებით თემაზე „ტუბერკულოზის დარგში მიმდინარე ტრანსლა-

ზუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR TUBERCULOSIS AND LUNG DISEASES

ციური კვლევები და მათი მნიშვნელობა“, საბჭოს წევრთა და დამსწრე სპეციალისტთა წინაშე წარდგნენ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის (ტფდეც) დირექტორი, საქართველოში ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზაზა ავალიანი** და ამავე ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელი, ჯანმრთელობოის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) ტუბერკულოზის დარგში კვლევების ევროპის რეგიონალური საბჭოს თანათავმჯდომარე, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინსტიტუტის ტუბერკულოზის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი **ნესტან ტუკვაძე**.

— კოვიდ-19-ის ვირუსული პანდემიის მიზეზით გამოწვეული ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ამჟამად მთელი მსოფლიოს მედიკოსების ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანია მიკროორგანიზმებთან და ბაქტერიებთან ბრძოლა. მათგან კაცობრიობისთვის ყველაზე კარგად ცნობილია ერთ-ერთი საშიში დაავადების — ტუბერკულოზის გამომწვევი ეგრეთ წოდებული „კოხის ჩხირი“, რომელიც რამდენიმე ათასწლეულით დათარიღებულ ადამიანთა ნამარხებში ნახეს, — აღნიშნა შესავალ სიტყვაში აკადემიკოსმა **რამაზ ხეცურიანმა**. — ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ საშიშ ავადმყოფობასთან გამკლავება მედიკოსებმა გარკვეულწილად კი ვისწავლეთ, მაგრამ, რიგ მიზეზთა გამო, ბრძოლა ამ მიმართულებით კვლავაც უაღრესად აქტუალურია. საქმე ის გახლავთ, რომ ჯანმოს მონაცემებით, დღეს მსოფლიოში ორი მილიარდი კაცია ტუბერკულოზის გამომწვევი კოხის ჩხირის მატარებელი (და არა დაავადებული!), ხოლო ამ ავადმყოფობის მიზეზით დედამიწაზე ყოველწლიურად ავადდება 9 მილიონი კაცი. დღე-ღამეში კი, დაახლოებით 5 ათასი კვდება...

პროფესორ **ზაზა ავალიანის** თქმით, ტებურკულოზის კვლევები მეტ ძალისხმევას, კიდევ მეტად გაძლიერებას საჭიროებს. მეცნიერება ჯერ კიდევ შორსაა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნისგან, რაც ამ სნეულების პრევენციის მყარი გარანტი იქნებოდა, თუმცა კი ამ მიმართულებით ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა დაავადების ახალი სამკურნალო და დიაგნოსტიკური საშუალებებისა და სამკურნალო ალგორითმების შექმნის მხრივ. მაგრამ, საქმეს მეტად ართულებს ის გარემოება, რომ ახალი წამლები და მკურნალობის ინოვაციური მეთოდები ჯეროვნად ვერ უმკლავდებიან ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიის —კოხის ჩხირის რეზისტენტულ (ანუ მდგრად) სახეობებს.

რაც შეეხება დაავადების ისტორიას, აღნიშნა აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა, ადამიანის ტუბერკულოზის ყველაზე ძველი დამადასტურებელი მასალა 1907 წელს იტალიელმა მეცნიერმა **პაულო ბარტელიმ** ნახა: 5000 წლის წინანდელ ადამიანის ნამარხში გულმკერდის მალების ტუბერკულოზური დაზიანებები აღინიშნებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ ცხოველთა ტუბერკულოზი ჯერ კიდევ 245 მილიონი წლის წინათ არსებობდა, რაც დადგენილია არქეოლოგიური მასალით.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ორგანიზმში ერთხელ მოხვედრილი კოხის ჩხირისგან გათავისუფლება პრაქტიკულად შეუძლებელია, ის ადამიანის ორგანიზმში ცოცხლობს და გასააქტიურებლად, იმუნური აქტივობის დაძვეითებას, ხელსაყრელ, სათანადო სოციალურ პირობებს, ანუ „თავის დროს“ ელოდება. დედამიწის ყველა კუთხეში 40 წლის ასაკს

ტრანსლაციური კვლევები და მათი მნიშვნელობა

იყოფა, რომელიც მისგან ერთიდან ეძვს მეტრამდე რადიუსში ვრცელდება. ერთ ტუბერკულიოზიან პაციენტს კი წელიწადში 15 კაცის დაავადება შეუძლია.

კოხის ჩხირი გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა: ის ცელსიუსის — 180 გრადუს ტემპერატურაზე სამი თვის, ხოლო მდუღარე წყალში ნახევარი საათის განმავლობაში ცოცხლობს.

ტუბერკულოზის საშიშროებას ის ფაქტიც მოწმობს, რომ დედამიწაზე სიკვდილიანობის მიზეზთა შორის დაავადება მე-7 ადგილზეა, რის გამოც მას „ნელი მკვლელიც“ კი შეარქვეს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური სტრატეგიის **„დავასრულოთ ტუბერკულოზი“** მთავარი ამოცანაა ამ ავადმყოფობის ეპიდემიის დასრულება 2035 წლისთვის, რაც მისით გამოწვეული სიკვდილიანობის 95 პროცენტით შემცირებასა და სამკურნალო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილისგან პაციენტთა ოჯახების გათავისუფლებას ნიშნავს.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა დაავადების კვლევების მიმართულებით. მისი პარტნიორები არიან ევროპისა და ამერიკის წამყვანი კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტები. 2008 წლიდან საქართველოში არსებობს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა. ქვეყნის მასშტაბით ასევე მოქმედებს 12 რეგიონული ცენტრი და 54 ტუბკაბინეტი.

ტუბერკულოზთან გამკლავების თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომელთა შორის ამ სავალალო მაჩვენებლით ლიდერი ინდოეთია, საქართველოში ცუდი მდგომარეობა ნამდვილად არ არის, თუმცა კი ევროპულ დონეს ჯერჯერობით ჩამოვუვარდებით, რასთან დაკავშირებითაც მოხსენებაში სათანადო ციფრები იყო მოყვანილი.

პროფესორმა ზ. ავალიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადებულთა უმეტესი ნაწილი პენიტენციალური სისტემის დაწესებულებებში იმყოფებოდა, ხოლო ვითარება ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გართულდა, როცა ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ფაქტობრივად, შეწყდა დაავადების უფასო პრეპარატებით მკურნალობა. იმ ხანებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებულებს მკურნალობდნენ ერთი, უკეთეს შემთხვევაში სამი პრეპარატით, საჭირო 5-6-ის ნაცვლად. ამდენად, არასწორი, არასათანადო თერაპიით შეიქმნა „მონსტრი“, სამკურნალო პრეპარატების გამმკლავებელი ფორმა, რაც მკურნალობას ნაკლებად, უფრო სწორად კი, თითქმის უპერსპექტივოს ხდის.

მილწეული მოსახლეობის 70-90 პროცენტი ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიითაა ინფიცირებული (გაცილამტარებელია), მაგრამ დაავადებული არ არის,ავადდება მხოლოდ ყოველი მეათე. ასევე არსებობს დაავადების ლატენტური ფორმები, რომელიც საერთოდ უსიმპტომოდ მიმდინარეობს, სნეულების აქტიური ფორმის დროს, ავადმყოფობის ნახველში 15 მილიონიდან 7 მილიარდამდე კოხის ჩხირი გამო-

კოხის ჩხირი გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა: ის ცელსიუსის — 180 გრადუს ტემპერატურაზე სამი თვის, ხოლო მდუღარე წყალში ნახევარი საათის განმავლობაში ცოცხლობს.

ტუბერკულოზის საშიშროებას ის ფაქტიც მოწმობს, რომ დედამიწაზე სიკვდილიანობის მიზეზთა შორის დაავადება მე-7 ადგილზეა, რის გამოც მას „ნელი მკვლელიც“ კი შეარქვეს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური სტრატეგიის **„დავასრულოთ ტუბერკულოზი“** მთავარი ამოცანაა ამ ავადმყოფობის ეპიდემიის დასრულება 2035 წლისთვის, რაც მისით გამოწვეული სიკვდილიანობის 95 პროცენტით შემცირებასა და სამკურნალო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილისგან პაციენტთა ოჯახების გათავისუფლებას ნიშნავს.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა დაავადების კვლევების მიმართულებით. მისი პარტნიორები არიან ევროპისა და ამერიკის წამყვანი კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტები. 2008 წლიდან საქართველოში არსებობს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა. ქვეყნის მასშტაბით ასევე მოქმედებს 12 რეგიონული ცენტრი და 54 ტუბკაბინეტი.

ტუბერკულოზთან გამკლავების თვალსაზრისით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომელთა შორის ამ სავალალო მაჩვენებლით ლიდერი ინდოეთია, საქართველოში ცუდი მდგომარეობა ნამდვილად არ არის, თუმცა კი ევროპულ დონეს ჯერჯერობით ჩამოვუვარდებით, რასთან დაკავშირებითაც მოხსენებაში სათანადო ციფრები იყო მოყვანილი.

პროფესორმა ზ. ავალიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადებულთა უმეტესი ნაწილი პენიტენციალური სისტემის დაწესებულებებში იმყოფებოდა, ხოლო ვითარება ჯერ კიდევ 1990-იან წლებში გართულდა, როცა ყოფილი სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ფაქტობრივად, შეწყდა დაავადების უფასო პრეპარატებით მკურნალობა. იმ ხანებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებულებს მკურნალობდნენ ერთი, უკეთეს შემთხვევაში სამი პრეპარატით, საჭირო 5-6-ის ნაცვლად. ამდენად, არასწორი, არასათანადო თერაპიით შეიქმნა „მონსტრი“, სამკურნალო პრეპარატების გამმკლავებელი ფორმა, რაც მკურნალობას ნაკლებად, უფრო სწორად კი, თითქმის უპერსპექტივოს ხდის.

მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული და აბასთუმნის ფილტვის ცენტრების ინფრასტრუქტურა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე პირობებში ტუბერკულოზთან გასამკლავებლად და ჯანმოს მიერ დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია, სახელმწიფომ დარგში გააძლიეროს კლინიკური, ეპიდემიოლოგიური, ჯანდაცვითი სისტემების, სოციალური მეცნიერებების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტრანსლაციური კვლევების მიმართულებები.

თანამომხსენებელმა, ტფდეც-ს სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელმა **ნესტან ტუკვაძემ** ყურადღება გაამახვილა ჯანმოს გლობალური სტრატეგიის „დავასრულოთ ტუბერკულოზის“ მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, საქართველოში სადიაგნოსტიკო საშუალებებისა და ახალი სამკურნალო პრეპარატების გამოყენების, ასევე დაავადების შემთხვევათა კლებისთვის სასურველ დონემდე დასაყვანად ყოველწლიურად 10-პროცენტიანი კლების აუცილებლობაზე, ილაპარაკა ტრანსლაციური კვლევების შედეგად დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მეთოდიკაზე როგორც მსოფლიოში, ასევე ჩვენში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველო გახდა “საერთაშორისო ინოვაციური და ახალი სადიაგნოსტიკო საშუალებების ფონდის“ წევრი და ილაპარაკა ამ მიმართულებით ქართველ მკვლევართა მუშაობის შესახებ.

ითქვა, რომ ტუბერკულოზის გარკვეული შტამების არსებობა საქართველოში 40 პროცენტზე მეტი დაკავშირებულია ტრანსმისიასთან, ანუ გადაცემასთან, რომელთა ასევე 40 პროცენტი პატიმრობასთანაა ასოცირებული.

გარდა ამისა, მომხსენებელმა მიმოიხილა წლევანდელი კვლევები მსოფლიოში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიმართულებით და ამ პროცესში, ასევე მულტიცენტრულ კლინიკურ კვლევებში საქართველოს მეცნიერთა ჩართულობა, აღნიშნა მიღწეული შედეგები, აგრეთვე ქირურგიის როლი სნეულებასთან ბრძოლის საქმეში. ითქვა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, ქართველ მკვლევარებს 140-ზე მეტი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია აქვთ გამოქვეყნებული, რომელთაც მეტად სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა.

მოხსენებების შემდეგ გამართულ კამათში სიტყვით გამოვიდნენ და შეკითხვები დასვეს აკადემიკოსებმა რ. ხეცურიანმა, რ. ხუროძემ, რ. შენგელიამ, ზ. ქევანიშვილმა, შ. ჯაფარიძემ, პროფესორებმა ს. ბახტაძემ, რ. ყურაშვილმა, კ. ვაჭარაძემ, რ. წითლიძემ, გ. წიგნივაძემ.

აღინიშნა, რომ ტუბერკულოზის პრობლემას კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში ებრძვის და, სამწუხაროდ, მიღწეული გარკვეული შედეგების მიუხედავად, მისი გადაჭრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა; დაავადების ორმაგი ინფექციური და სოციალური ბუნება; ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა 10-15 პროცენტის თვითგანკურნვის მაჩვენებელი; მისი შაქრიან დიაბეტთან დამოკიდებულება, კერძოდ, ექვსჯერ გაზრდილი საფრთხე; პროფ. კ. ვაჭარაძემ აღნიშნა რომ ფტიზიატრიასა და პულმონოლოგიაში, ასევე პათანატომიაში ახალგაზრდა სპეციალისტთა მწვავე დეფიციტია, არ მზადდება სათანადო კადრები, დღის წესრიგში მწვავედ დგას ამ საკითხის გადაწყვეტის სასწრაფო აუცილებლობა; აგრეთვე საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ცხოველთა ტუბერკულოზს, რომელიც საკმაოდ არის გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ-ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲡ:

– დღევანდელი ჩვენი თავყრილობა უაღრესად მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემას – ტუბერკულოზთან ბრძოლას მიეძღვნა, რომლის მთელი რიგი ასპექტი შესანიშნავად გააშუქეს დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა – პროფესორმა ზაზა ავალიანმა და ექიმმა-მკვლევარმა ნესტან ტუკვაძემ.

ჩვენში ტუბერკულოზის საკითხის აქტუალობის საილუსტრაციოდ მცირედი სტატისტიკის მოყვანაც კმარა: 2020 წელს სასუნთქი სისტემის დაავადებებით სნეული 50 536 კაცი იყო, 2021 წელს კი მათი რიცხვი 59 906-მდე გაიზარდა. ამ საერთო რაოდენობაში 15 პროცენტი ტუბერკულოზზე მოდის. ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერია – კოხის ჩხირი უაღრესად სიცოცხლისუნარიანია: ორგანიზმის გარეთ იგი 5 თვეს ცოცხლობს, მზის სინათლეზე კი მხოლოდ საათნახევარში იხოცება და თუმცა კი მდუღარე წყალში ნახევარ საათამდე ძლებს, ულტრაიისფერი გამოსხივება მას 2-3 წუთში კლავს; წიგნის ფურცლებზე ის 3-დან 6 თვემდე ცოცხლობს, ხოლო ვაკუუმში გამომშრალი პათოგენობას 18 წლის მანძილზე ინარჩუნებს; მისი რეზისტენტული შტამი შეიძლება არსებობდეს ძალზე მცირე ზომის ფილტრში გამავალი ფორმით, რომელსაც ის ავადმყოფები გამოყოფენ, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ანტიტუბერკულოზურ პრეპარატებს; MBT შტამი კი გაყინულ თხევად ჟანგბადში (ცელსიუსის -180 გრადუსი) რამდენიმე კვირას ძლებს.

ტუბერკულოზი მეტად საშიში დაავადებაა, ამდენად საჭიროა მისი სწორად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობა, რომელიც შესაძლოა რამდენიმე თვეს ან, სულაც 2 წელსაც კი გაგრძელდეს. მეტად გავრცელებულია ტუბერკულოზის ფარული ფორმა – როცა ანთებითი პროცესი მოისაზღვრება და წარმოიქმნება ტუბერკულომები (ანუ გამაგრებები), ხოლო ინფექციის წყარო (ანუ მიკრობი), ორგანიზმიდან არ გამოდის. ფარული ფორმა გადამდები არ არის, ამიტომ მისი მკურნალობა ბინაზეც, პაციენტის სტაციონარში მოუთავსებლადაც შეიძლება. ტუბერკულოზის დიაგნოსტირება კი ფლუოროგრაფიითა და სისხლის ანალიზით ხდება.

ტუბერკულოზს შეიძლება არაერთი სახეობის გართულება მოჰყვეს, მათ შორისაა პლევრიტი; ლიმფური კვანძების ანთება, რომელსაც ახალ კერებამდე მივყავართ; ატელექტიზი; კაზეოზური პნევმონია, რომლის ძირითადი მიზეზია დაქვეითებული იმუნიტეტი.

ᲘᲡᲛᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ – ᲤᲗᲝᲠᲮᲘᲜᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘ – ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ? ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ **ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ**, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲪᲝᲢᲐ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ. ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 1940 ᲬᲔᲚᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲙᲝᲮᲘᲡ ᲩᲮᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲡᲢᲠᲔᲞᲢᲝᲛᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲞᲐᲠᲐᲛᲘᲜᲝᲡᲐᲚᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲛᲫᲐᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲖᲝᲜᲘᲐᲖᲘᲓᲘᲗ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲘ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲘᲠᲣᲡᲛᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲙᲘ 1980 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲐ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢ **ᲠᲘᲤᲐᲛᲞᲘᲪᲘᲜᲘᲡ** ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲕᲙᲐᲠᲒᲐᲕᲗ **ᲤᲗᲝᲠᲮᲘᲜᲝᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡ** ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲔᲤᲔᲥᲢᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲐ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲝᲕᲐᲛᲘᲖᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲠᲔᲯᲙᲣᲚᲝᲖᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲔᲣᲑᲜᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲡᲐᲨᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ „ᲩᲣᲛ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲗᲐᲜ“ ᲣᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲡ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ **კოლოების და ტკიპების ღამურებისა და ღორის ჭირის შემდეგ შეთქმულების ახალ თეორიას გვთავაზობს. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელი ვიაჩესლავ ვოლოდინი ამბობს, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა გადაუხადოს კომპენსაცია კორონავირუსული პანდემიით დაზარალებულ ქვეყნებს, რადგან თითქოს ამერიკის ხელისუფლებაა ჩართული Covid-19-ის გავრცელებაში.**

რუსი მაღალჩინოსანი ამ პროპაგანდისტულ გზავნილში ეყრდნობა არა სამედიცინო სფეროს წარმომადგენელს, არამედ ამერიკელ ეკონომისტ ჯეფრ საქსს, რომელიც გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს, რომ კორონავირუსი შეიძლებოდა, შექმნილიყო აშშ-ის ბიოლაბორატორიაში, თუმცა აბსოლუტურად გაუგებარია მისი კვალიფიკაცია ვირუსოლოგიაში.

ვოლოდინი აცხადებს, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა აგოს პასუხი კორონოვირუსის ისეთ შედეგებზე, როგორიცაა „მილიონობით ავადმყოფი და გარდაცვლილი, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ხალხის ცხოვრების დონის ვარდნა“.

ᲘᲜᲤᲝᲠᲜᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲩᲘᲛᲚᲐᲕᲡᲐ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲕᲣᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲚᲘ ᲕᲔᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ: ᲛᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲗᲐᲝᲜᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐᲘᲝᲠᲐ, „ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲨᲘ“ ᲓᲐᲡᲚᲓᲝ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ. ᲕᲔᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ, ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡ ᲯᲕᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ, ᲕᲣᲰᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲘ�წᲧᲝ ᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲪᲐᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ – ᲠᲝᲛᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲕᲐᲗᲐ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ? ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ? ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ – ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲗᲣ ᲔᲬ. ᲡᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲓᲐᲜ? ᲯᲕᲐᲜᲛᲝᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲡᲙᲕᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ „ᲙᲝᲕᲘᲓ-19“ ᲕᲣᲰᲐᲜᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲗ ᲬᲧᲐᲠᲝᲓ ᲦᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲨᲨ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ: ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲛᲐᲘᲙ ᲞᲝᲛᲞᲔᲝᲛ ᲐᲓᲠᲔ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ "ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ" ᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ.

რუსი მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ გარდა კომპენსაციისა, „აშშ-ის სამხედრო ბიოლოგიური კვლევები, რომლებსაც ისინი მთელ მსოფლიოში ატარებენ, უნდა შეწყდეს და განსაიდუმლოვდეს“. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული ლუგარის ლაბორატორია მუდმივი სამიზნეა რუსული პროპაგანდის და საქართველოში არსებული პრორუსული ჯგუფების. პროპაგანდა ინტენსიურად გვთავაზობს სხვადასხვა შეთქმულების თეორიებს და „საფრთხეებს“ ბიოლოგიური იარაღის კონტექსტში. პროპაგანდა ასევე აქტიურია უკრაინის მიმართულებით.

სინამდვილეში, საქართველოსა და უკრაინაში არსებული ლაბორატორიები არა ბიოლოგიური იარაღის შექმნას და გავრცელებას, არამედ, პირიქით მის პრევენციას ემსახურება. ლაბორატორიების საქმიანობა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული ზედამხედველობის განხორციელებას, დაავადებათა შემთხვევების, ეპიდემიური აფეთქებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა საფრთხეების დროულ აღმოჩენასა და კვლევას მოიცავს. აღნიშნული ლაბორატორიების ერთ-ერთი მიზანია, დაადგინოს ეპიდაფეთქებების წარმომავლობა – ბუნებრივი გავრცელებაა თუ ბიოტერორიზმის შედეგი.

როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში, ბიოლოგიური ლაბორატორიები „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენების და გამოცდილების გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ არსებული შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. აღნიშნული შეთანხმება კი, თავის მხრივ, ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების (NPT) ფარგლებში დაიდო.

როგორც საქართველო, ასევე უკრაინა პირნათლად ასრულებენ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის შესაბამისად, მათ შორის ბიოლოგიური ლაბორატორიების საქმიანობის წარმართვაზე კონვენციის მოთხოვნებისა და დებულებების შესაბამისად. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მე-7 გადასახედი კონფერენციის ფარგლებში წევრ-სახელმწიფოების მიერ შემუშავდა გამჭვირვალობისა და ნდობის ამაღლების მექანიზმი, რომელიც გვევლინება ტრანსპარენტულობის ერთადერთ ინსტრუმენტად.

კრემლის მიერ აგორებული დეზინფორმაციული კამპანიის საპასუხოდ, 2018 წელს, თბილისის თხოვნით, საქართველოს ექსპერტთა ჯგუფი ეწვია, რომელშიც 17 ქვეყნის 22 ექსპერტი და დამკვირვებელი შედიოდა. თბილისმა რუსი ექსპერტებიც მოიწვია, თუმცა მოსკოვმა შემოთავაზება „კატეგორიულად უარყო“, რაც ნათლად ცხადყოფს რუსეთის მოჩვენებით დაინტერესებას ლაბორატორიის ფუნქციონირებით. ვიზიტი ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის დადგენას მიეძღვნა. მისიის ანგარიშის თანახმად, ექსპერტებმა ცენტრის ყველა ობიექტი მოინახულეს და აღნიშნეს, რომ „ლაბორატორია თავის საქმიანობებში მნიშვნელოვან გამჭვირვალობას ავლენს. ვიზიტით მყოფმა ჯგუფმა ვერაფერი გამოავლინა, რაც შეუსაბამო იქნებოდა პროფილაქტიკურ, დამცავ და სხვა მშვიდობიან მიზნებთან“. ამასთან, **„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠ, ᲓᲐᲛᲪᲐᲕ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲪᲔᲜᲢᲠᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ“** – ᲬᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ 4-7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲚᲣᲒᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲙ�ვᲜᲐᲛ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ.

ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲔᲗ ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲔᲑᲘ!

ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐᲡ ᲕᲘᲫᲚᲔᲕᲘ, ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲝᲗ ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲔ, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ საქართველოს პირველ არხს განუცხადა. მისი ინფორმაციით, გასულ ორ კვირასთან შედარებით, კორონავირუსის ახალ შემთხვევათა რაოდენობა თითქმის ორნახევარჯერ არის გაზრდილი, რაც „ომიკრონის“ ახალ ქვეშტამებს უკავშირდება. როგორც გამყრელიძემ ამ შტამებზე საუბრისას აღნიშნა, ე.წ. ბი-ეი-4 და ბი-ეი-5 შტამები სწრაფად ვრცელდება, თუმცა რთული მიმდინარეობა არ ახასიათებს.

„მარტო საქართველოში არ ხდება. მთლიანად მსოფლიოში და ევროპის უმრავლეს ქვეყნებში, 42 ქვეყანაში იყო შემთხვევების ზრდა. იყო 631 ახალი შემთხვევა, დღეს გვაქვს 756. წინა კვირასთან შედარებით, სამშაბათს დაახლოებით 2.4-ჯერ მეტი შემთხვევა იყო, ვიდრე ორი კვირის წინ. სერიოზულად არის მომატებული რეპროდუქციის ინდექსი“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ. გამყრელიძის განცხადებით, დღევანდელი მონაცემებით, კოვიდინფიცირებულთა 7-8 პროცენტს სჭირდება ჰოსპიტალიზაცია. მისივე თქმით, ინფიცირებულთა დამძიმების ტენდენცია არ არის. ამირან გამყრელიძე მოქალაქეებს ვაქცინაციისკენ მოუწოდებს და ამბობს, რომ დღესდღეობით ქვეყანაში იმუნური ფენა შემცირებულია.

„პირველი ბუსტერიდან (მესამე დოზიდან) 4 თვის შემდეგ, 50 წლის ზემოთ ყველა ასაკის მოსახლეს შეუძლია, გაიკეთოს მეორე ბუსტერი (მეოთხე დოზა), ასევე, 18-დან 49 წლის ადამიანებს, ვისაც აქვთ ქრონიკული დაავადებები; ხოლო 12-დან 18 წლამდე ბავშვებში ექიმის დანიშნულებაა აუცილებელი“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

რაც შეეხება 50 წლამდე კატეგორიას, რომელში შემავალ პირებსაც არ აღენიშნებათ ქრონიკული დაავადებები, აქვთ მყარი იმუნიტეტი, თუმცა სურთ მეორე ბუსტერის გაკეთება, ამირან გამყრელიძე მათ ექიმთან კონსულტაციის გავლას ურჩევს.

მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად!

საქართველოს პოლიტიკური რეპროსპექტივა

(მესამე გვერდიდან) ძალიან აქტუალური გახდა ამ ბოლო ხანებში ჰიტად ქცეული სიტყვა – **„შინ ევროპისკენ!“.**

ეს სლოგანი ძირშივე მცდარია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი **სამშობლო და ჩვენი საცხოვრისი წინაპართა სისხლითა და ოფლითაა მოპოვებული – ცენტრალური კავკასიაა. კავკასია სუბკონტინენტია, სადაც მენდელეევის სისტემის 120 ელემენტი მოიპოვება. მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მომავალი ტექნოლოგიური რევოლუციების განუყოფელ ელემენტებად წარმოგვიდგება. მაშ რატომ მივდივართ სხვაგან, შორს და უალტერნატივოდ ვხედავთ ნათელ მომავალს და ჩვენს ისტორიულ მისიას კი, ვერა?!** ჩვენი აზრით, სწორედ აქ არის ყველაზე დიდი კითხვის პასუხი საძებარი. ჩვენ ხსნის გზას ევროპის კონტინენტზე ვეძებთ, სადაც მსოფლიო საარსებო რესურსების დომინანტი სწორედ ჩვენდამი მტრულად განწყობილი იმპერიული სახელმწიფოს ხელშია და მასზეა ჩამოკიდებული ევროპის სიცოცხლისუნარიანობა?! ჩვენ კი ვცდილობთ მისი გვერდის ავლით ვიაროთ მომავალი კეთილდღეობისკენ?! ეს, ჩემი აზრით, არის ის მწარე რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ!..

თურმე ევროპა ყოფილა ჩვენთვის „შინ!“ აზიისკენ, არა?? იქ, რა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები არიან?! მაგრამ არა, მავანს ასე სურს, მხოლოდ და მხოლოდ ევროპა, მისი ღირებულებები. თუმცა ევროპას, რომ დიდი კულტურა გააჩნია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ საკითხავია, ჩვენი ეროვნული ფასეულობები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, რითი ჩამორჩება ევროპულს?! თუმცა, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა (რაზეც უკვე აშკარად მიგვანიშნეს?!) ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, სად და რა სივრცეში ვიმყოფებით. და კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი – **ჩვენ იგივე ევროპელები პირდაპირ რომ არ გვეუბნებიან, ხომ არ გვთვლიან „მესამე სამყაროს“ ძვეყნად?! თუმცა, დიპლომატიური ეთიკის დარღვევა მათ არ სჩვევიათ და ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარში შეუძლიათ საათობით სულგანაბულებმა უსმინონ საუკუნეების წიაღიდან აღმოშობილ ძართულ საგალობლებს და აღიარონ მისი უნიკალურობა მსოფლიოს წინაშე!** ჩვენ ხომ ვართ ის ქვეყანა (და არა ჩამოყალიბებული სრულყოფილი სახელმწიფო!), რომელსაც თავის ექსპორტ-იმპორტის ბრუნვაში **ოცი, ოთხმოცთან** პროპორცია გვაქვს. ეს კი ნიშნავს ბევრ ისეთ რამეს შემოგვატყუებენ, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის ბევრად უვარგისია, ვიდრე, ზოგადად, საკუთარი მოქალაქეებისთვის...

ამის დასასაბუთებლად ერთ მაგალითს მოვიყვან. ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს მეზობელ თურქეთში მაღალ დონეზეა განვითარებული სამედიცინო ჰაბი. ყოველთვიურად უამრავი ადამიანი მიემგზავრება თურქეთის სამედიცინო ცენტრებში ჯანმრთელობის პრობლემებით. სტატისტიკა გამაოგნებელია. საშუალოდ ყოველთვიურად 60-80 ავადმყოფი მაინც ეწვევა თურქეთს ონკოლოგიური დიაგნოსტიკით სა-

ძართველოდან. ამისი მიზეზი ის საკვები პროდუქტია, რომელიც შემოდის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან და ის ჰიგიენური საშუალებები, რომელსაც ასე საჭიროებს საქართველოში მცხოვრები ყოველი მოქალაქე.

ყველაფერი ეს მოითხოვს ძალიან ღრმა დაფიქრებასა და გაანალიზებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ შევიდეთ „შინ – ევროპაში“ და მერე ყველაფერი თავისთავად დალაგდება. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი გამოსავალიც, მაგრამ ევროპამდე გასავლელი გრძელი გზის დასრულების შემდეგ რამდენი ადამიანი დარჩება საქართველოში და იქნება კი შედეგიანი ეს გზა, ვინმეს შეუძლია პროგნოზი გააკეთოს?! სწორედ ამიტომ ყველამ უნდა იფიქროს და გადაწყვეტილება მიიღოს იმან, ვისაც ეს ხელეწიფება.

ჩვენ კი, პროგრესისკენ მიმავალი ხიდები კი არ უნდა დავწვათ და ჩავანგრიოთ, არამედ ერთად ვეძებოთ გამოსავალი ქვეყნის გადასარჩენად. ქვეყანა რომ გადასარჩენია, ეს ცხადზე უცხადესია.

დღევანდელი ნეოლიბერალები და მათი პატარ-პატარა სეთურები, ცდილობენ თავიანთი ქმედებები შეფუთონ მშვიდობიანობის იარლიყებით, მაგრამ რევოლუციას არ გამორიცხავენ. იმაზე კი არავინ ფიქრობს, ეს „შინ!“ – ის გზის გვირაბი საითკენ მიდის და სად აღმოჩნდება ათეული წლების მერე. ერთი რამ ავიწყდებათ ჩვენს კეთილის „მსურველებს“. დიდი ილიასი არ იყოს, **ჩვენი ხსნა ჩვენს იძით, მხოლოდ ტკბილი სიზმარიაო! მაშინ „ჩვენ“ სადა ვართ აძ თუ იძ „სხვამ“ გადაწყვიტა ჩვენი ბედისწერა, სხვამ მოგვახვია თავს თავისი უვარგისი ექსპერიმენტებით მოპოვებული შედეგები?! მე კი მგონია, ეს ყველაფერი სეთურის გვირაბია არსად მიმავალი და ჩვენი ისტორიის აღმგველი პირისაგან მიწისა. დღეს არც ერთი ქვეყანა, მათ შორის ევროპაში, არ ცხოვრობს მხოლოდ წარსულით და არ ამაყობს მარტო მისი ისტორიით.** ისინი ფიქრობენ, რა სასტარტო პოზიცია გააჩნიათ მათ მომავლის გზის გასაკვალად. ამ გზაზე კი უამრავი საფრთხე არსებობს და ამას ყველაფერს ითვალისწინებენ. ჩვენ კი, მხოლოდ ერთ გზას ვირჩევთ და ვფიქრობთ მის აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. იქნება სხვა გზაც არსებობს და დარწმუნებული ვარ ეს სხვა გზა არის აქ, ჩვენში, ჩვენს წალკოტ საქართველოში და აქ უნდა ავაღორძინოთ ეს ღვთითკურთხეული მიწა. თორემ ხომ ხედავთ, როგორ მომრავლდა ჩვენში უცხო თესლი და როგორ ცდილობს იგი შენი ხალხის ჩანაცვლებას. მათ ეტყობათ, ჩვენზე უკეთ იციან ამ ქვეყნის ღვთიური ბუნება და წმინდა ადგილი, რომელიც ქართველის დაღვრილი სისხლითაა გაჯერებული. „წმინდა ადგილი“ კი, მოგეხსენებათ, არასოდეს არ რჩება ცარიელი. აკი დიდი ილია გვმოძღვრავდა, – **„თუ ჩვენ, ძართველები არ გავუფრთხილდებით ჩვენს მიწაწყალსა, როგორც უპატრონო ეკლესიას ეშმაკები, ისე სხვები დაეპატრონებიან მას.“** ამაზე მეტი გაფრთხილება არც არსებობს, რომელიც ღირს დაფიქრებად!

არ შეიძლება პოლარიზაციის აღმოფხვრაზეც არ ვიფიქროთ. ვფიქრობთ, ეს სენი უცხო თესლის მიერაა შემოგდებული. ცდილობენ ამ გზით ქართველთა ამოძირკვას ამ მიწიდან და მერე თავად დაპატრონებას. ალტერნატიული აზრის არსებობა დასაშვებია, მაგრამ ის არ უნდა იყოს ანტაგონისტური და მეორე მხარისთვის გამანადგურებელი. ამ კუთხითაც დიდმა ილიამ ისეთი საყოველთაო ფორმულა დაგვტოვა, რომელიც შეიძლება ხსნის გზად მოგვევლინოს. ესაა **„ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“** როდესაც ასეთი წინასწარმეტყველური სიბრძნე გააჩნია ერს, მაშინ ის სხვაგან არ უნდა ეძებდეს ხსნის გზას „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა!“

ჩემი მიზანი არამც და არამც ვიღაცის დამოძღვრა და აზრის შეცვლა არ არის. ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელშიც ყველა ჩვენგანი იმყოფება დღეს. **მე ცვლილებების მომხრე ვარ, მაგრამ არა რადიკალურის და რევოლუციურის!** დღეს, სამწუხაროდ, იმ ადამიანების „ძე შეცდომილების“ შთამომავლები დგანან ბარიკადებზე, რომელთა მამები და პაპები იდგნენ გასული საუკუნეების 90-იან წლებში. მაგრამ მაშინდელ დგომას აზრი ჰქონდა, იმიტომ რომ ბრძოლა მიმდინარეობდა თავისუფლებისთვის. დღეს კი, თავისუფლებამოპოვებული (ხშირად მეჩვენება, რომ ეს „მოჩვენებითი თავისუფლებაა“) ქვეყნის შთამომავლები ისევ დაუბრუნდნენ იმ ძველ გზას, მესამედი საუკუნით უკან გადაინაცვლეს და თითქმის შეუცვლელი ლოზუნგებით ცდილობენ ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრი მათგანი ისე არ ფიქრობს, როგორც ლაპარაკობს, მაგრამ ეტყობათ, ვერ ღალატობენ „სეთურების“ მიერ შედგენილ დოქტრინებს და გამოსავალს რადიკალიზმსა და სახელისუფლებო გადატრიალებაში ხედავენ. ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა სრულიად არ ნიშნავს მათ მეხოტბეობას. მაგრამ ქუჩაში მოკალათებულ თითქმის ბრბოდ ქცეულ პერსონებს ერთი მთავარი რამ ავიწყდებათ.

ხელისუფლებაში ყოფნა მრავალწახნაგოვან პრობლემებს წარმოშობს. ის არაა დამოკიდებული მისი და ხალხის ემპირიული ნება-სურვილის თაყვანისცემაზე, აძ უამრავი შიდა და გარე ფაქტორები მოქმედებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა შეიძლება კატასტროფის გამომწვევიც გახდეს!

ამიტომ, მას უფრო ფართო არეალი გაჩნია სამოქმედოდ და საფიქრად, ადამიანებს კი ჰგონიათ, რომ იქ კომფორმიზმია და განცხრობა და ნაკლები პასუხისმგებლობა.

არა ბატონებო, იქ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და შეზღუდვების დიდი კასკადი. ყველა ქვეყანა, როდესაც დიდი რყევები იწყება უფსკრულის პირას გადის და საკმარისია ერთი არასწორი ნაბიჯის გადადგმა და ყველაფერი კატასტროფით დამთავრდება. ამიტომაა სწორედ საჭირო სიფრთხილე, მოთმინება და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სიარული ქვეყნის გადასარჩენად.

კიდევ ერთხელ მინდა გულწრფელად გითხრათ:

ჩემი მიზანი არ არის ჭკუის დარიგება. ჭკუა ყველას გააჩნია, ზოგს მიძინებული და ზოგსაც კიდევ გააქტიურებული. მაგრამ როდესაც საქვეყნო პრობლემების გადაწყვეტაზე მიდგება საქმე, მაშინ კოლექტიური ჭკუა ბევრი სიკეთის მომტანია, საჭიროა ქვეყნის მიზნებზე ორიენტირება, მცირე შეცდომებით სიარული და წარსულისკენ დაბრუნება კი არა, მომავალზე სწორება.

ყოველივე ამას, ვფიქრობ, ქართული გონი სრულად გაუმკლავდება და არაა საჭირო გაღმა ნაპირებიდან ინსტრუქციების მიღება და მერე ერისთვის თავს მოხვევა. **ჩვენი ქვეყნის ხსნა ჩვენს ხელთაა და საჭიროა შრომა და ჯაფა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.**

კიდევ ერთი რამ, მთელმა ერმა უნდა მოინდომოს გამარჯვება. ცალ-ცალკე ჭირის სხვისკენ თვლა და ლხინის შენსკენ, ტაძრამდე ვერასოდეს ვერ მიგვიყვანს!

მჯერა, ეს ჟამიც მალე დაუდგება საქართველოს. ისე, თუ გარედანაც დაგვეხმარებიან, მივესალმოთ, მაგრამ მხოლოდ იმას, რაც ჩვენს სულთან ახლოს იქნება და ქვეყანასაც აააშენებს. მაგრამ ხომ არ დადგა დრო, ვიფიქროთ უპირველესად „ბედნიერ მორიგებაზე?!“



მურმან კვარაცხელია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ოკუპანტებმა სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 22 პროცენტი დაიკავეს

უკრაინული მედიის ცნობით, NASA Harvest-ის სატელიტური სურათების ანალიზმა აჩვენა, რომ რუსეთის კონტროლქვეშ არის მინდვრები, სადაც ითესება ზამთრის 28 პროცენტი და საგაზაფხულო კულტურების 18 პროცენტი, მათ შორის სიმინდი და მზესუმზირა. პროექტის ანალიტიკოსების ინფორმაციით, ომამდე უკრაინა მსოფლიო ბაზარზე მზესუმზირის ზეთის მსოფლიო ექსპორტის 46%-ს, ხორბლის ექსპორტის 9%-ს, ქერის 17%-ს და სიმინდის 12%-ს უზრუნველყოფდა. ერთობლივად რუსეთსა და უკრაინას ეკუთვნოდათ მზესუმზირის ზეთის ექსპორტის 73%, ხორბლის 33% და ქერის 27%.

ბოლო რამდენიმე თვეა, ამ საკვების მიწოდება შეფერხდა. ზოგიერთი მოსახლეობისთვის ეს შეიძლება ნიშნავდეს უფრო მაღალ ფასებს, ან სასურსათო მაღაზიებში ნაცნობი პროდუქციის ნაკლებობას, სხვებისთვის კი, ეს შეიძლება, ნიშნავდეს საკვების სერიოზულ დეფიციტს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

აქვე, ანალიტიკოსების პოზიციით, არსებული პრობლემა შეიძლება, იყოს არა მხოლოდ უკრაინული ველების თითქმის მეოთხედის ოკუპაცია.

რუსეთმა ფრონტზე ოპერატიული პაუზა აიღო

3 ივლისს ლისიჩანსკის აღების შემდეგ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არ გაუვრცელებია ინფორმაცია სახმელეთო ჯარების გადაადგილების შესახებ, რაც ადასტურებს ვარაუდს, რომ რუსეთმა ფრონტზე ოპერატიული პაუზა აიღო.

„3 ივლისის შემდეგ გააგრძელა იერიშები შეზღუდული ძალით ფრონტის სხვადასხვა მიმართულებით, რაც არ ეწინააღმდეგება დასკვნას ოპერატიული პაუზის შესახებ, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს აქტიური საბრძოლო მოქმედებების სრულ შეჩერებას“, – აცხადებენ „ომის კვლევის ინსტიტუტში“ მანამდე „ომის კვლევის ინსტიტუტმა“ ივარაუდა, რომ რუსეთი ლუგანსკის ოლქის აღების შემდეგ ოპერატიულ პაუზას აიღებდა, ვინაიდან თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ლუგანსკის ოლქში მიმდინარე ბრძოლების მონაწილეებს დასვენების საშუალება უნდა მიეცეთ.

ენერგორესურსების გაყიდვიდან 24 მილიარდი დოლარი მიიღო

უკრაინაში შეჭრიდან სულ რაღაც სამ თვეში რუსეთმა ჩინეთსა და ინდოეთში ენერგორესურსების გაყიდვიდან 24 მილიარდი დოლარი მიიღო. ჩინეთსა და ინდოეთში ენერგორესურსების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი ზრდა ცხადყოფს, როგორ ზღუდავს გლობალური ფასების ზრდა აშშ-ისა და ევროპის ძალისხმევას პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის დასჯის თვალსაზრისით.

კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ჩინეთმა 18.9 მილიარდი დოლარი დახარჯა რუსულ ნავთობზე, გაზსა და ნახშირზე, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტია. ინდოეთმა იმავე პერიოდში 5.1 მილიარდი დოლარი დახარჯა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხუთჯერ მეტია. საერთო ჯამში, რუსეთმა ჩინეთიდან და ინდოეთიდან დამატებით 13 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

აქტიურობა ერის წინსვლის საწინდარია

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ქართული გვარების შეკავშირება ხელს უწყობს ერის გამთლიანება-გაძლიერებას. რამდენადაც, მრავალრიცხოვანია გვარი, რამდენადაც მობილიზებული და სამშობლოს გულანთებული პატრიოტებით იქნება მისი შემადგენლობა დაკომპლექტებული, მით უფრო მალე მივაღწევთ სანუკვარ ოცნებას – ქვეყნის გაერთიანებას ერის შეკავშირება-შედუღაბებას. მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. მაშინ შეგვეძლება პასუხი გავცეთ მოძალებულ მტერს, რომელიც არასდროს გვაკლდა და არც ამჟამად გვაკლია.

სწორედ ქართული გვარების ერთიანობისკენ მოგვიწოდებს საქართველოს პატრიარქი ილია მეორე, გვასწავლის და შეგვახსენებს როგორ გვიყვარდეს ერთმანეთი, ამ მამულიშვილური ჭეშმარიტებისკენ გვმოძღვრავს და ყველაფერს აკეთებს ერის გამრავლება-გაერთიანებისკენ.

სწორედაც პატრიარქის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რომელსაც დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით უდგას სათავეში ბატონი **ირაკლი ბრეგვაძე**. დარბაზის მიერ შემუშავებულ პერსპექტიულ გეგმაში კონკრეტულადაა გაწერილი ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის ქართული გვარების გამთლიანება-შეკავშირებას, ტრადიციების, მემკვიდრეობითობის და იდენტობის დახვეწა განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ გვარების წინამძღოლები უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ენთუზიაზმით, სიყვარულით და ნამდვილად პატრიოტული სულისკვეთებით ასრულებენ მეტად მნიშვნელოვან სამუშაოს, ნამდვილად დასაფასებელი ადამიანები არიან და იმსახურებენ საზოგადოებისგან პატივისცემას.

დღეს მინდა ორი ქართული გვარის ღირსეულ და მეტად პატივდებული წინამძღოლები გაგაცნოთ. მკითხველი ნათლად დარწმუნდება თუ რამდენად შრომატევად და პატრიოტული საქმის მკეთებლები არიან კარგად ორგანიზებული გვარები, რომლებსაც მაღალი პასუხისმგებლობის წინამძღოლები ყავთ.

უპირველესად სხირტლაძეების თავქალი ქალბატონი **ხათუნა სხირტლაძე** მინდა წარმოგიდგინოთ. ამასთან იგი სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უდგას სათავეში. ქალბატონ ხათუნას მონდომება, მაღალი პროფესიონალიზმი და დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა ნამდვილად დასაფასებელია.

საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სხირტლაძეების გვარი 2010 წლის 21 ივნისს დალოცა. გვარის უმრავლესობამ თავიანთ წინამძღოლად ქალბატონი ხათუნა აირჩია. სხირტლაძეები აქტიურად ჩაებნენ გვარის ისტორიის, სახელოვანი გვარიშვილობის ბიოგრაფიების შესწავლის, ეკლესია -მონასტრების აღდგენა-განახლების და სხვა აქტუალური საკითხების დადებითად გადაწყვეტაში. სასიკეთო საქმეებიც სახეზეა.

უპირველესად დაზუსტდა სხირტლაძეთა განსახლების არეალი. განისაზღვრა გვარის ადგილის ფუძე - ონის რაიონი სოფელი მრავალძალი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია საქართველოში. სოფლის სახელი არსებულ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთანაა კავშირში. ტაძარი დიდი მადლით იყო ცნობილი რაჭასა და იმერეთში. მისი აგება ბაგრატ მესამის მეფობას და რაჭის საერისთაოს დაარსებას უკავშირდება. (ტაძარი 1010 წელს აიგო), ტაძარი სახელგანთქმული იყო თავისი სილამაზით და დახვეწილი არქიტექტურით, მოჩუქურთმებული კანკელებით, ძვირფასი ჯვარ-ხატებით, საეკლესიო წიგნებით, სამწუხაროდ, XIX საუკუნეში რუსმა ეგზარქოსმა მრავალძალის მონასტერი სამრევლო ეკლესიად გადააკეთა.

1991 წელს რაჭის მიწისძვრამ ტაძარი მიწასთან გაასწორა. თავიდან გახდა საჭირო ტაძრის აშენება, რაშიც დიდი ძალისხმევა დასჭირდა როგორც სხირტლაძეთა გვარის წინამძღოლს, ისე რაჭველების სახელოვან ადამიანებს, ბატონებს როინ მეტრეველს, ნიკო ლეკიშვილს, ლერი მეძმარიაშვილს, ლევან ფრუიძეს, რევაზ ნადარეიშვილს, მალაქია დვალს და სხვებს. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა ეკლესიის კონსერვაცია გადაწყვიტა, რასაც გვარის უმრავლესობა წინ აღუდგა. გადაწყვიტეს ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის აშენება. ტაძრის ასაშენებლად შექმნეს სპეციალური ფონდი. მობილიზებულ იქნა ონის საზოგადოება, სახელმწიფო, ბიზნესმენები (ეკლესიის აშენებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბადრი პატარკაციშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა.).

2010 წელს მრავალძალის აშენებიდან X საუკუნის შემდეგ ფერისცვალების დღესასწაულზე ნიკორწმინდის მიტროპოლიტმა ელისემ ტაძარი აკურთხა და სასულიერო წირვა-ლოცვა განაახლა. 2018 წელს მრავალძალის ტაძარს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს სხირტლაძეების გვარის უდიდესი გამარჯვება იყო.

მეორე დიდ გამარჯვებას 2009 წელს მიაღწიეს, როცა რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველომ მრავალძალის მიწები აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა. სხირტლაძეები ისევ გაერთიანდნენ, თანხა შეაგროვეს და აუქციონში გაიმარჯვეს, 425 ჰექტარი სამემკვიდრეო ნაკვეთი გამოისყიდეს და საგვარეულო სასოფლო კოოპერატივები შექმნეს და მიწების მიზნობრივი დამუშავება დაიწყეს.

სხვა ბევრი სიკეთეც შექმნეს სხირტლაძეების გვარის წარმომადგენლებმა, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ქალბატონ ხათუნას სამომავლო გეგმების შესახებაც ვესაუბრე. ბევრი კარგი პროგრამა აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ მისთვის უმთავრესი მაინც ისაა, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს გამთლიანების, ახალგაზრდების სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების წესის დამკვიდრების საქმეში. რისთვისაც საჭიროა გვარი კიდევ უფრო განმტკიცდეს, ძალა ხომ ერთობაშია.

ერთსულოვნებით ყველა პრობლემას წარმატებით დავძლევთ, - სიამაყით მითხრა ქალბატონმა ხათუნამ. გვწამს, რომ ეს ასეც იქნება.

* * *

მართალია მამუკაშვილები მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩევიან (სულ 1400-მდე) მაგრამ ორგანიზებულობით, ერთსულოვნებით, მიზნის სიცხადით, სამშობლოს და დედაეკლესიის სიყვარულით ნამდვილად მრავალ სასიკეთო საქმეს აკეთებენ.

მამუკაშვილთა საგვარეულო კავშირი 2013 წლის 29 დეკემბერს დაფუძნდა, ხოლო 2014 წლის 29 ივნისს საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სამების ტაძარში დალოცა. განვლილ წლებში საგვარეულო დარბაზის გამგეობამ (ხელმძღვანელი **ნოდარ მამუკაშვილი**) მრავალი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება გამართა. უპირველესად გადაწყვიტეს გვარის ისტორიის წიგნად გამოცემა, დაადგინეს სახელოვანი წინაპრების ბიოგრაფიები, დააზუსტეს გვარის კომპაქტურად განსახლების არეალი. მახათას მთის ფერდობზე მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის შემოგარენში გააშენეს საგვარეულო ხეივანი, იქვე მახათას მთაზე მაცხოვრის ტაძრის ტერიტორიაზე ბერების საძვალის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა.

გვარის წინამძღოლს ნოდარ მამუკაშვილს საერო და სასულიერო პირთა ერთსულოვნების სანიმუშო მაგალითად მიაჩნია სახლიკაცის ბატონ **ვახტანგ მამუკაშვილის** თაოსნობით წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის აშენება გორის რაიონის სოფელ ბეთლემში. ძირითადად სწორედ ამ სოფლიდან არიან მამუკაშვილები, მისივე ძალისხმევით სოფელს ისტორიული სახელი – ბეთლემი დაუბრუნდა.

საგვარეულო დარბაზის ინიციატივით დაიწერა წმინდა გიორგის ხატი, შეიქმნა საგვარეულო გერბი და დროშა, პოეტმა **ნანა მამუკაშვილმა** დაწერა საგვარეულო ჰიმნის ტექსტი. ეხმარებიან სოციალურად დაუცველ გვარიშვილებს, სტუდენტებს, გადაწყვეტილი აქვთ სოფელ ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი), სადაც საკმაოდ ცხოვრობენ მამუკაშვილები, ააშენონ ეკლესია, ხოლო თელავის რაიონის სოფელ ართანაში რესტავრაცია ჩაუტარონ საგვარეულო ეკლესიას.

წარმატებულ და აქტიურ სახლიკაცებს გადასცემენ მადლიერების სიგელებს...

როგორც ბატონმა ნოდარმა გვითხრა, გვარში ყავთ მეტად საამაყო სახელოვანი ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, სამხედრო პირები, ბიზნესმენები, სპორტსმენები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებიან სამშობლოს და ყოველდღიური საქმიანობით ცდილობენ, კიდევ უფრო ამრავლონ გვარის სახელოვანი ტრადიციები.

– ძნელია, დღეს საკუთარ მშობლებზე ვისაუბრო, მაგრამ ნამდვილად მეამაყება მამაჩემი – **ალექსანდრე მამუკაშვილი** – რომელიც ომისა და შრომის ვეტერანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ჯანდაცვის დამსახურებული პროვიზორი გახლდათ. სახელმწიფოს 16 ჯილდო ქონდა მიღებული, დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის ომის დროს გორში სატანკო ბატალიონში მსახურობდა და ტერიტორიის დაბომბვის დროს დაიღუპა. მამამ შესანიშნავად იცოდა გვარის ისტორია, ბევრ სახელოვან გვარიშვილს იცნობდა, ეამაყებოდა თავისი გვარი და მეც ამ ტრადიციებით გამზარდა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ალბათ მას აირჩევდნენ გვარის ხელმძღვანელად. სამშობლოს და ღმერთის ერთგული პიროვნება ჩემთვის ყოველმხრივ სამაგალითოა. ამიტომ უფლება არ მაქვს, საგვარეულო დარბაზის საქმიანობას გულგრილად მოვეკიდო. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მამის ხსოვნა პირნათლად ვატარო, ყველაფერი ისე უნდა გავაკეთო, როგორც მამას უყვარდა, ერთგულად, პატიოსნად, ჩემი გვარის და სამშობლოს საკეთილდღეოდ, – განაცხადა ბატონმა ნოდარ მამუკაშვილმა.

ღმერთმა გვიმრავლოს ერის საამაყო შვილები.

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ქართული ციხე-სიმაგრეები კულტურული მემკვიდრეობის საგანძურია

პარლამენტის კულტურის კომიტეტთან არსებულმა თემატურმა ჯგუფმა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მქონე საფორთიფიკაციო ნაგებობების კონსერვაცია/რესტავრაცია და ფუნქციური რევიტალიზაციასთან დაკავშირებით პრეზენტაცია გამართა.

თემატური მოკვლევის ჯგუფის პირველ სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთში, ხერთვისის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებს კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, ელისო ბოლქვაძემ მიმართა, რომელმაც მოკვლევის თემის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კულტურის კომიტეტის თემატური მოკვლევის ჯგუფმა წარდგინება გამართა

„საქართველო უხვი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობით გამოირჩევა. მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები, კულტურული ლანდშაფტი, ისტორიული დასახლებები, საკულტო დანიშნულების ადგილები თუ საფორტიფიკაციო ნაგებობები ქვეყნის ისტორიას ქმნის და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კაცობრიობის სულიერი საგანძურის ფორმირებაში.

სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში აგებული, საფორტიფიკაციო დანიშნულების ციხე-კოშკები დღეს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია, რაც, საუკუნეების მანძილზე ქვეყნისა თუ ცალკეული რეგიონების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას წარმოაჩენდა. თითოეულ მათგანს ინდივიდუალური ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული და ორგანულად იყო ჩართული ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის, კუთხის, სოფლისა თუ კონკრეტული დასახლების დაცვის სისტემაში. სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ციხეების უმეტესობა ნანგრევებად არის ქცეული, თუმცა ისინი უდიდეს ისტორიულ მეხსიერებასა და ღირებულებას ინახავს“, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაციით, საქართველოში 1000-მდე საფორტიფიკაციო ობიექტია, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. რამდენიმე ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსს ატარებს. მისი თქმით, თითქმის ყველა მათგანის მდგომარეობა მძიმეა. მისივე შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებზე, ნებისმიერი ტიპის ქმედება, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონისა“, და ძეგლთა დაცვითი მიდგომებით განხორციელდეს.

კომიტეტის თავმჯდომარემ კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა-რევიტალიზაციის პროცესში ევროპული გამოცდილების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვასა და მათი ავთენტურობის შენარჩუნების კუთხით ევროპაში მეტი გამოცდილებაა.

„ვიმედოვნებ, რომ კულტურის კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევის ფარგლებში გაწეული რეკომენდაციები დაეხმარება სახელმწიფოს და კერძო სექტორს სწორი პოლიტიკის გატარებაში კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად. შემუშავდება მართვის მოდელი, რომელიც საზოგადოებას შესთავაზებს საქართველოში არსებული მსგავსი ნაგებობების შენარჩუნების და ასევე მათი სხვა დანიშნულებით დატვირთვის შესაძლებლობებს“, – განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

◎ ფორუმი



ფარაონთა ქვეყანაში

ამას წინათ გულისტკივილით გაუწყეთ, რომ სათუო გახლდათ საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების გამგზავრება კაიროში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

საბედნიეროდ, ფინანსური პრობლემების მოგვარებით შემდეგ ქვეყნის ერთერთმა წამყვანმა სპორტულმა ფედერაციამ იმ გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა, რომელიც ეგვიპტის დედაქალაქში „ჯვაროსანთა“ღირსებას დაიცავს მუშკეტერთა 11-წევრიანი დელეგაციის სახით.

ხმალი, ძალები: თეოდორა კახიანი-მეკლინგი, ლიკა ჯიჯეიშვილი, ალექსანდრა კუვაევა;
ხმალი, კაცები: სანდრო ბაზაძე, ბექა ბაზაძე, ნიკოლოზ ჭეიშვილი, ლაშა კუჭუხიძე;
დაშნა, ძალები: არინა კორნეევა;
რაპირა, კაცები: ლუკა ღაღანიძე, ლაშა გალუაშვილი, პავლე ბორონტოვი.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურთა ლიდერი სანდრო ბაზაძე ახლახან მსოფლიოს თასს დაეუფლა და მისგან ამჯერადაც წარმატებას ველით.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ღირსეული დებიუტი

„სლოვანი“ ძლიერი გუნდია და რთული პირველი მატჩი გველის, მაგრამ ყველაფერი ბათუმში გაირკვევაო – განაცხადა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდის გასვლითი შეხვედრის წინ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის დებიუტანტ ზღვისპირელთა თავკაცმა გია გეგუჩაძემ.

გამოცდილი სპეციალისტი არ შემცდარა – მართალია, შესვენების წინ მეორე ყვითელი ბარათის გამო სტუმრებს გუნდის კაპიტანი კობახიძე გაუძღვეს, მაგრამ ბრძოლის ხასიათი ამით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, „ბათუმი“ სლოვაკური კლუბის იერიშებს მწვავე ჩხვლეტებით პასუხობდა და იმ შედეგს მიაღწია, რომელიც მორიგ ეტაპზე გასვლის შესანიშნავ შანსს უტოვებს – 0:0. როგორ არ გავიხსენოთ ამ ვითარებაში ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც უკვე შეუერთდა „ნაპოლის“ და, ვინ იცის, რამდენ ხიფათს შეუქმნიდა ვლადიმირ ვაისის შეგირდებს, მათ შორის კაშიას, კანკავასა და ჩაკვეტაძეს, მატჩის გმირი კი მეკარე **ლაზარე კუპატაძე** გახდა, რომელმაც ურთულესი ბურთები მოიგერია.

ბრაგბილავა. „ტეპელნე პოლე“ „სლოვანი“ - „ბათუმი“ 0:0

„სლოვანი“ – ჩოვანი, მედვედევი, კაშია, აბენა, დე მარკო (ჩაკვეტაძე), კანკავა, კუცკა (ჰოლმანი), ბარსეგიანი (გრინი), ვაისი (ჩავრიჩი), ემრალი, რამირესი (საპონიჩი).

„ბათუმი“ – კუპატაძე, ჩაბრაძე, კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ტეიდი, ალთუნაშვილი (ნავალოვსკი), მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (რეხვიაშვილი), დავითაშვილი (ვანაძე), ჯოვინო (რადინი).

მსაჯი – დევიდ ქუთი (ინგლისი).

◎ ოვალური გურთი

რკინიგზაც ქომაგობს

რაგბის კავშირის თაოსნობითა და საქართველოს რკინიგზის მხარდაჭერით 10 ივლისს ბათუმში გასამართავი უმნიშვნელოვანესი საზაფხულო ტესტ-მატჩისთვის დამატებითი რეისი დაინიშნა.

3 ივლისს ქუთაისში დაწყებული სარაგბო ზეიმი აჭარაში გაგრძელდება. კერძოდ, ისევე, როგორც არგენტინა XV-თან შეხვედრამდე, ზღვისპირეთშიც მოეწყობა მთელი რიგი ღონისძიებები – ტურნირები ქვიშის რაგბიში, კონცერტები რამდენიმე ლოკაციაზე და მსვლელობები, ხოლო მათ, ვინც სტადიონზე ვერ მოხვდება, საშუალება ექნებათ, თამაშს თვალი დიდ ეკრანზე მიადევნონ.

აღსანიშნავია, რომ დიდი ეკრანები სხვა ქალაქებშიც დამონტაჟდება და ერთობლივი ქომაგობა „ბორჯღალოსანთათვის“ გულშემატკივრებს მთელი ქვეყნის მასშტაბით შეეძლებათ.

ვინაიდან „სკუადრა აძურასთან“ მომავალი ბრძოლისადმი ინტერესი განსაკუთრებულია, 4-ვაგონიანი და 400-ადგილიანი სწრაფი მატარებელი დედაქალაქიდან დასვლეთისაკენ დღეს 9 საათსა და 45 წუთზე გავა, უკან კი 11 ივლისს 18 საათსა და 45 წუთზე დაბრუნდება.

რაც შეეხება კომფორტული მატარებლით მგზავრობის საფასურს, იგი სტანდარტული იქნება.

ამასობაში უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ 20-წლამდელთა 6 ერის ზაფხულის სერიების მესამე მატჩში შოტლანდია რეკორდული სხვაობით – 55:17 დაამარცხეს, ჯგუფური ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულეს და საბოლოო მე-5 პოზიციის დასაკავებლად საფრანგეთის ნაკრებს შეხვდებიან (12 ივლისი).

აღსანიშნავია, რომ **ლადო კილასონიას** გუნდმა მრისხანე მეტოქეს 8(!) ლელო დაუდო – 4-4 თითო ტაიმში, საიდანაც 6 ზუსტად გარდასახა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი **რატი ზაზაძე** დასახელდა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე იტალიურ ტრევიზოში გამართულ ბრძოლებში მასპინძლებთან და უელსთან, მართალია, ღირსეულად ვიომეთ და შესაბამისად 19:36 და 24:30 წავაგეთ, მაგრამ ორივეს ლელო გავუტანეთ. საამაყოა აგრეთვე, რომ ელიტური 6 ერის ორ ბობოლას – ირლანდიასა და შოტლანდიას გარანტირებულად გავუსწარით.

საქართველოს ნაკრები

ხაზი: ლიპარტელიანი, აფციაური, კახოიძე, მეტრეველი, ქევხიშვილი, ხუციშვილი, ხუროშვილი;
შერკინება: მამაიაშვილი, მაისურაძე, ქუნთელია, ბურდული (კაპიტანი), კერვალიშვილი, ლაშა ციხისთავი,ზაზაძე, შვანგირაძე;
მარქაფა: სუთიძე, აბრამიშვილი, ბადრი ციხისთავი, გალდავა, გელხვიძე, იაშვილი, ჩიქოვანი, სახელაშვილი, ბაბუნაშვილი, ბაიხოიძე, ირემაძე.
ლელო: ზაზაძე (2), შვანგირაძე (2), ქუნთელია, აფციაური, გალდავა, ბაბუნაშვილი;
გარდასახვა: ხუციშვილი (6);
საჯარიმო: ხუციშვილი (1).

◎ მხარე

ვეტერანები დააფასეს!

ბოლნისის „სიონში“ სხვადასხვა დროს არაერთ შესანიშნავ ფეხბურთელს უთამაშია. მათ შორის ღირსეულ ადგილს იკავებენ ამ კლუბის ვეტერანები – ჯონი ჯაგიდისი და გიორგი ყიფშიძე. მათ მთელი საფეხბურთო კარიერა „სიონის“ უკეთეს მომავალს შეალიეს. ცოტა ხნის წინათ ორივეს საიუბილეო თარიღი ჰქონდა – 60 წელი შეუსრულდათ.

„სიონისა“ და „თელავის“ მატჩის დაწყებამდე ღვაწლმოსილ ვეტერანებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია ტუხაშვილმა**, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **გოჩა შუბითიძემ**, „სიონის“ დირექტორმა **ლევან სილაგაძემ** (ამავდროულად – ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა) და ტექნიკურმა დირექტორმა **გელა ქორიძემ**.

ჯონი ჯაგიდისი და გიორგი ყიფშიძე დღესაც „სიონში“ საქმიანობენ – ჯაგიდისი სპორტული დირექტორია, ყიფშიძე კი, ვინც არაერთხელ ყოფილა მთავარი გუნდის სათავეში, 19-წლამდელებს წვრთნის. წარმატებებს ვუსურვებთ მათ სპორტულ კარიერასა და პირად ცხოვრებაში!

◎ კორტზე

მე-60 ახლოვდება



მთელი სპორტული სამყარო ჯოკოვიჩ-ნადალის საიუბილეო – მე-60 ბრძოლის მოლოდინშია (30:29 ჯერ ჯერობით წინ სერბია), თუმცა ისიც სათქმელია, რომ უიმბლდონის ნახევარფინალში გასასვლელად ორივემ მარათონული შეხვედრები გადაიტანა.

მეტიც – ნოლე“ 0:2-ს აგებდა იტალიელ იანიკ სინერთან და მხოლოდ ამის შემდეგ გაიღვიძა, ხოლო 36 წლის გრუნტის მეფეს ასევე 5 პარტია დასჭირდა ამერიკელი ტეილორ ფრიცის გასატეხად, რომელსაც აქამდე ერთი სეტიც კი არ ჰქონდა წაგებული.

ასე რომ, დღეს კორტზე გამოვლენ: ჯოკოვიჩი – ნორი და ნადალი – კირგიოსი.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, გამოკვეთილი ფავორიტი ჰალეპი რიბაკინას გამოცდის, გერმანელი ვეტერანი მარია კი ტუნისელ ჟაბერს.

◎ ვითარება

შენც, ნელსონ?

თითქოს ფორმულა-1-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ნელსონ პიკეს ტკბილი სიბერე გარანტირებული უნდა ჰქონდეს, მაგრამ ხომ გსმენიათ – ჩემი ენა ჩემი მტერიო.



საუბარია ლეგენდარული ბრაზილიელის მიერ შვიდგზის ბრიტანელი გვირგვინოსნის ლუის ჰემილტონის მიმართ რასისტული ტიპის შეურაცხყოფაზე, რაც შეიძლება 3-წლიან პატიმრობად დაუჯდეს.

თანამემამულეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ადგილობრივ პროკურატურას 3 ბრაზილიელი პარლამენტარი სთხოვს.

მართალია, პიკემ უკვე მოუხადა ბოდიში „მერსედესის“ პილოტს იმისათვის, რომ მას ნეგრინიო უწოდა, მაგრამ ამ გამონათქვამით გამოწვეული სერიოზული რეზონანსის გათვალისწინებით ძნელი სავარაუდოა, რომ მხოლოდ სიტყვიერი სინანული აღმოჩნდეს საკმარისი.

„დიდი არაბობა“ საქართველოში

ჩვენთან ისვენებენ... ფულს სამშობლოში რიცხავენ... მაშ, ჩვენ რაღა?

საქართველო არაბი ტურისტებისთვის რომ მიმზიდველი ქვეყანაა, ამას სტატისტიკის გარდა ტურისტულ ადგილებში მათი სიმრავლეც მოწმობს. არაბი ტურისტების მოზიდვაზე ზრუნვას მთავრობაც აქტიურად ცდილობს.

მაგალითად, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილმა საუდის არაბეთში წამყვანი ტურისტული სააგენტოებისა და უმსხვილესი ავიაკომპანიების ხელმძღვანელებისთვის პრეზენტაცია გამართა და აღნიშნა, რომ საუდის არაბეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე ქვეყანაა.

„საქართველო ყველაზე მოთხოვნადი ტურისტული მიმართულებაა წელს საუდის არაბეთში, რადგან საქართველო არის უსაფრთხო მიმართულება, აქვს ოთხი სეზონი, მიმზიდველი ტურისტული პროდუქტები. მიმდინარე ზაფხულის ტურისტული სეზონი იქნება გამორჩეულად მაღალი მოთხოვნის სეზონი და ჩვენ ვიხილავთ ძალიან ბევრ მხარჯველუნარიან ტურისტს საუდის არაბეთიდან საქართველოში“, — განაცხადა მარიამ ქვირიშვილმა. თუმცა ქართული ტურისტული კომპანიების უმეტესობა „კომერსანტთან“ ამბობს, რომ არაბი ტურისტების გაზრდილი რაოდენობა არც ადგილობრივი ტურისტული კომპანიებისთვის და არც ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო არ არის.

ტურისტული კომპანია Georgian Holiday-ის ხელმძღვანელი მანანა ცირამუა „კომერსანტთან“ აღნიშნავს, რომ არაბ ვიზიტორებს საქართველოში ძირითადად მათივე ქვეყნის ტურისტული კომპანიების შვილობილი სააგენტოები ემსახურებიან და ეს თანხებიც მათთან რჩება.

„ყველაზე დიდი რაოდენობით და უფრო თამამად მიმდინარე სეზონზე საქართველოში მოდიან არაბული ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ისინი მოგზაურობენ როგორც ინდივიდუალურად, თავისით დაგეგმილი ტურით, ასევე ტურისტული კომპანიების საშუალებით. თუმცა აქ ყველაზე მთავარია, რომ მსხვილი არაბული ტურისტული კომპანიების ნაწილს აქ შვილობილი კომპანიები აქვთ გახსნილი და თავიანთ ქვეყანაში დიდი მარკეტინგულ კამპანიას აწარმოებენ საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით. შემდეგ კი, თვითონვე აკონტროლებენ მათ გადაადგილებას, დაბინავებას და ა.შ. სწორედ იმ სასტუმროებსა თუ აპარტამენტებში, რომლებიც მათი საკუთრებაა.

შესაბამისად, არაბ ვიზიტორებს საქართველოში ძირითადად მათივე ქვეყნის ტურისტული კომპანიების შვილობილი სააგენტოები ემსახურებიან, იქ მიჰყავთ სადაც ისევ თვითონ იღებენ სარგებელს და ეს თანხებიც მათთან რჩება. საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივს ასაქმებენ, თუმცა ის თანხები რაზეც ქართული შემომყვანი ტურისტულები მუშაობენ, ისევ იქით მათ ქვეყანაში გადის, აქ მხოლოდ მინიმალურ საოპერაციო ხარჯებს სწევენ“, — ამბობს მანანა ცირამუა.

2022 წლის 5 თვის მონაცემით, ახლო და შუა აღმოსავლეთიდან საქართველოში 43 ათასზე მეტი ტურისტი შემოვიდა, რაც პანდემიამდელ 2019 წელთან შედარებით თითქმის 47%-იანი ზრდაა. საანგარიშო პერიოდში კონკრეტულად საუდის არაბეთიდან კი 13 ათასამდე ტურისტია შემოსული, რაც 2019 წლის მონაცემებს 165%-ით აღემატება.

უნგრელები აჭარაში

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, უნგრელ ჟურნალისტებს უმასპინძლა, რომლებიც რეგიონის ძირითადი ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შესახებ სტატიებს მოამზადებენ.

ბათუმის, როგორც საზღვაო ქალაქის ძირითადი ტურისტული ადგილების მონახულების შემდეგ ჟურნალისტებმა მთიან აჭარაში გადაინაცვლეს, სადაც ადგილობრივი სამზარეულო და ღვინო დააგემოვნეს. პეტრასა და გონიოს ციხეები, ქალაქის ძირითადი მუზეუმები, ბოტანიკური ბაღი და ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობები იმ ტურისტულ ადგილებს შორის იქნება, რომლის შესახებაც შთაბეჭდილებებს უნგრელი ჟურნალისტები მკითხველებს გაუზიარებენ.

რეისების რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა

2022 წლის ივნისში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 76 052 მგზავრს და 298 რეისს მოემსახურა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აეროპორტში სრულად აღდგა მგზავრთნაკადი, რეისების რაოდენობა კი 21%-ით გაიზარდა, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, მარიამ ქვრივიშვილმა.

მისი თქმით, მგზავრთნაკადისა და რეისების რაოდენობის ზრდა განაპირობა მიზნობრივ ბაზრებზე განხორციელებულმა სწორმა პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია ფრენების გეოგრაფიის გაფართოებისკენ, ახალი ტურისტული ბაზრების მოძიებისკენ, საქართველოს ავიაბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შემოყვანისა და არსებული მიმართულებების გაზრდისკენ.

ამ ეტაპისთვის, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ხუთი ავიაკომპანია 14 ქვეყნის 25 მიმართულებით ოპერირებს. პირველი აგვისტოდან ქუთაისის აეროპორტიდან ფრენები ტალინისა და პარიზის მიმართულებით დაემატება და არსებულ ათ მიმართულებაზე სიხშირეები გაიზრდება.

ახალი გზა მარნეულიდან შულავერამდე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შულავერი-შაუმიანი-სიონი-წერაქვის საავტომობილო გზის 6 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.

სარეაბილიტაციო გზა მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. იწყება მარნეულში, კოსტავას ქუჩიდან და სოფელ შულავერის ტერიტორიაზე გადის. გზის მიმდებარედ უმეტესად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს გზის ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესებას. კერძოდ, საგზაო სამოსის რეაბილიტაციას, კიუვეტებისა და არსებული ხელოვნური ნაგებობების შეკეთებას და ახლების მოწყობას. ადგილობრივ გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების, ავტობუსის გასაჩერებელი ადგილების მოწყობას. ასევე, გზის სავალი ნაწილის მონიშვნასა და საგზაო ნიშნების მონტაჟს.

სანთელი

მეგობრები: ა. გოგელია, ი. ოსიპოვი, გ. ცაგარელი, რ. გილიგაშვილი, გ. კოსტავა, ზ. მჟელდლიძე, დ. სახვაძე, ზ. კუპრაშვილი, ჯ. კალანდაძე, ლ. ჯიბუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ყოფილ პარლამენტარს ზურაბ ცქიტიშვილს მეუღლის

ლალი ცაგარელის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ, ძეთინო, ძეთი ძავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ, კახა, ირმა ცქიტიშვილებს მეუღლისა და დედის

ლალი ზურაბის ასული ცაგარელი-ცქიტიშვილის

გარდაცვალების გამო.

მასტერკლასი მსჯავრდადებულებისათვის

პენიტენციურ დაწესებულებებში სპორტის მართვის სტრატეგიის ფარგლებში, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი №16 და №12 პენიტენციური დაწესებულებების მსჯავრდადებულთა შორის შიდა საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებულებს შეხვდა და მასტერკლასი ჩაატარა.

მსოფლიო ჩემპიონმა მსჯავრდადებულებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და გამარჯვებულებს სიგელები გადასცა. შეხვედრას სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელი ნიკა ცხვარაშვილი, უწყების წარმომადგენლები და საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ. პენიტენციურ დაწესებულებებში სპორტის მართვის სტრატეგია იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის ინიციატივით დაინერგა.

პოპულარული ალმანახის ახალი ნომერი

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2022 წლის III ნომერი.

ჟურნალი იხსნება პროფესორ **გიორგი გოცირიძის** ნაშრომით „თელავის ისტორიის ნარკვევები“.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება: **ვანო ჩხიკვაძის** რომანი „გვირაბი“ (გაგრძელება); **ფიქრია ყუშიტაშვილის** პიესა „იოგლიანი ანუ 3+1“; **ფარნა რაინას, მარიამ კოზმანიშვილის, თინათინ თელაველის, მაგდა ჩანქსელიანის, სოფია ქურასბედიანის** ლექსები; **ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება), **ნინო ძამუკაშვილის, ხათუნა გოზალიშვილის** პროზაული ნაწარმოებები.

„ბავშვებისთვის საკითხავის“ რუბრიკით დაბეჭდილია **ნუნუ ძამუკაშვილის** ლექსები. რუბრიკაში „ახალგაზრდული ჩანართი — „ნაბიჯი“ გაეცნობით **ქეთევან ჭანკოტაძის** მინიატიურებს. „თარგმანების“ რუბრიკაში წაიკითხავთ **რომან სენჩინის** მოთხრობას „სურათებიანი ცელოფნის პარკი“, თარგმნა **აკაკი დაუშვილმა.**

რუბრიკაში „კრიტიკა-პუბლიცისტიკა“ ქვეყნდება **როინ ჭიკაძის** „რეზო ინანიშვილის „საღამოს ხანის ჩანაწერების“ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ჩანაწერები“. ჟურნალში იბეჭდება მხატვარ **კახა გოგიაშვილის** ნახატები. ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გამოვიდა **საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა** და **„შემოქმედებითი საქართველოს“** მხარდაჭერით.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გერმანელი პროფესიონალები ქართული ღვინით დაინტერესდნენ

გერმანიის ბაზარზე ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ ff.k Public Relations" ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. სააგენტოს ინფორმაციით, ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სომელიეები, მათ შორის 3 ღვინის მაგისტრი, ასევე, ღვინის ჟურნალისტები, რომლებიც ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ესტუმრნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო.

ამასთან ერთად, ტურის ფარგლებში, თბილისში მოეწყო სპეციალური დეგუსტაცია, სადაც შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით, ღვინის პროფესიონალებს საკუთარი პროდუქცია ქართული ღვინის მწარმოებელმა 20 კომპანიამ წარუდგინა.

„ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ქართული ღვინის გასაცნობად, ჩვენ ვეწვიეთ საქართველოს სომელიეებისა და ღვინის მაგისტრების ჯგუფთან ერთად. ჩვენი მიზანია, ვიზიტორთა ჯგუფს წარვუდგინოთ ქართული ღვინის მრავალფეროვნება, ქართული ტრადიციები და კულტურა, რათა გერმანული და საერთაშორისო ღვინის სამყაროს პროფესიონალებს შემდგომში ქართულ ღვინის მხარდაჭერის საშუალება მივცეთ", — აღნიშნა „ff.k Public Relations"-ს მარკეტინგის მენეჯერმა, ლარა ბერენდსენმა.

ღვინის მაგისტრისა და სომელიეს, კონსტანტინ ბაუმის თქმით, მისასალმებელია ღვინის წარმოების პროცესში ახალგაზრდა თაობის ჩართვა.

„საქართველოში არასდროს ვყოფილვარ, თუმცა, ბევრი მსმენია საქართველოს და ქართული ღვინის შესახებ. პირველი, რაც საქართველოსთან დაკავშირებით ყველას ახსენდება არის ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი და ქვეყნის ისტორია. ჩემთვის გასაოცარი და საინტერესო ფაქტია, რომ ღვინის მწარმოებლების ახალგაზრდა თაობა ტრადიციული მეთოდის გარდა, თანამედროვე ტექნოლოგიებსაც იყენებს, მათ აქვთ ახალი იდეები და კონცეფციები, ასევე აღსანიშნავია ადგილწარმოშობის არაჩვეულებრივი ჯიშები. კიდევ უფრო მეტის ხილვის იმედი მაქვს და მინდა ქართული ღვინისა და საქართველოში მოგზაურობის გამოცდილება მომავალშიც გავიმეორო", — აღნიშნა კონსტანტინ ბაუმმა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, გერმანულ კომპანიასთან ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობა 2021 წლიდან დაიწყო და მიმდინარე წელსაც აქტიურად გრძელდება.



„საქართველოს ეკლესიის წინამძღვრები"

გამოფენა „საქართველოს ეკლესიის წინამძღვრები" დღეიდან ონლაინსივრცეშიც გახდა ხელმისაწვდომი. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული არქივი ავრცელებს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 105 წლისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში 2022 წლის 24 მაისიდან მიმდინარეობს, მოიცავს საქართველოს ეკლესიის პირველი მამამთავრების, კათოლიკოსებისა და კათოლიკოს-პატრიარქების მოღვაწეობის ამსახველ მასალას. ექსპონატებს შორისაა ეროვნულ არქივში დაცული ისტორიული საბუთები, ხელნაწერები, ფოტო და სხვა საარქივო დოკუმენტები; ასევე პატრიარქების მემორიალური ნივთები, რომლებიც სხვადასხვა კერძო კოლექციაშია დაცული.

ვამპირებზე მონადირის ანტიკვარული ნაკრები

ვამპირებზე მონადირის ანტიკვარული ნაკრები დიდ ბრიტანეთში, აუქციონზე 13 ათას გირვანქად გაიყიდა. ნაკრები მე-19 საუკუნეში მცხოვრებ ლორდ უილიამ ჰეილის ეკუთვნოდა.

ნაკრებში წარმოდგენილია ბიბლია, ჯვრები, ნაკურთხი წყალი, კრიალოსანი, ორი პისტოლეტი და ხის სარი.

„ვამპირის მოკვლა ძალიან სერიოზული ამოცანა იყო, ამიტომ აუცილებელი იყო გარკვეული ინსტრუმენტების ფლობა", — განმარტა სააუქციონო სახლის Hansons Auctioneers მფლობელმა ჩარლზ ჰენსონმა. ლოტის საწყისი ფასი 5-6-ჯერ ნაკლები იყო, თუმცა აუქციონის დაწყებამდე ნივთისადმი ინტერესი გაიზარდა — ფსონები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იდებოდა. ანტიკვარული ნაკრების ახალმა მფლობელმა ვინაობის გამხელა არ ისურვა.

თეატრალური ხელოვნების ზეიმი გურიაში

ოზურგეთი ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალი და 15 ივლისს დასრულდება. თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობს რვა ქვეყნის თეატრი ცხრა სპექტაკლით, ასევე, წარმოდგენილი იქნება დედაქალაქიდან 15, საქართველოს რეგიონებიდან კი 17 სპექტაკლი.

როგორც ორგანიზატორები აღნიშნავენ, წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებული და გამორჩეული იქნება არა მარტო მდიდარი პროგრამით, არამედ მასშტაბით, რაც შესაძლებელს გახდის, საზოგადოებამ ოზურგეთის თეატრის სამ განსხვავებულ სივრცეში ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე, ასევე ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაზე შექმნილი 26 სპექტაკლი იხილოს. ფესტივალზე იმუშავებს საერთაშორისო ჟიური, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი თეატრის კრიტიკოსებით და თეატრის ექსპერტებით. საერთაშორისო ჟიური ცხრა ნომინაციაში გამოავლენს გამარჯვებულებს. მთავარი პრიზი — ნოდარ დუმბაძის პრემია 10 000 ლარს შეადგენს. კონკურსში მასპინძელი თეატრი არ მონაწილეობს. ფესტივალი რობერტ სტურუას სპექტაკლით გაიხსნა. „ვანო და ნიკო" რუსთაველის თეატრის მსახიობებმა წარუდგინეს მაყურებელს. ფესტივალის გახსნას კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები დაესწრნენ.

„ემოციები არის ძალიან ამაღლებული, საღამო დაიწყო ცრემლით, რადგან არაჩვეულებრივი თოჯინური სპექტაკლი ვნახე, სადაც მამას ბიოგრაფია იყო. ბევრი ტკივილი და განცდაა მამას ბიოგრაფიაში. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სიკეთე, რომელსაც ატარებს ნოდარ დუმბაძის შემოქმედება, არის მთავარი", — განაცხადა ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა, ქეთი დუმბაძემ. თეა წულუკიანის თქმით, ის ფაქტი, რომ ფესტივალს რუსთაველის თეატრის სპექტაკლი ხსნის, ადასტურებს წლევანდელი ფესტივალის უპრეცედენტოდ დიდ მასშტაბს.

„კულტურის სამინისტროს სახელით ყველას გეპატიჟებით გურიაში, კერძოდ ოზურგეთში, სადაც გაიხსნა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. რამდენიმე დღის განმავლობაში 30-მდე სპექტაკლი გათამაშდება ოზურგეთისა და ჩოხატაურის თეატრალურ სცენებზე. ეს არის რვა უცხო ქვეყნის თეატრი და ასევე ქართული თეატრების ძალიან მდიდარი რეპერტუარი. კულტურის სამინისტროს სახელით გპირდებით, რომ იმდენად წარმატებული იქნება ეს ფესტივალი, რომ მომავალი წლიდანაც ჩვენ გავაგრძელებთ სწორედ ამ ხარისხის, ამ დონისა და საერთაშორისო მასშტაბის შენარჩუნებას ოზურგეთის თეატრალურ სცენაზე," — განაცხადა კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.89038; ევრო - 2.9625
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4634;
100 რუბლი - 4.5552; თურქული ლირა - 0.1736;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7137;
1000 სომხური დრამი - 7.1303.

ამინდი 8 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+14,	დღე +33
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე +24

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+16,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე +31
თბილისი:	ღამე	+20,	დღე +33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge